ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარიამ ლაღაძე

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი საქართველოში: გამოწვევებისა და საფრთხეების ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი
2019

ანოტაცია

საქართველოში ჯერ კიდევ პირველი კონსტიტუციის მიღებიდანვე იგრძნობოდა ეთნიკური უმცირესობებისადმი დამოკიდებულება. არსებულ ნაშრომში შესწავლილი და წარმოდგენილი მაქვს საქართველოში მცხოვრები უმცირესობების მხრივ არსებული ზოგადი ვითარება. ნაშრომის მიზანია მკითხველს გააცნოს ის, თუ რა ნაბიჯებს დგამს სახელმწიფო ამ მხრივ და ითვალისწინებს, თუ არა 2009 წლის შემწყნარებლობის კონცეფციის მთავარ პრინციპებს.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა ეთნიკური უმცირესობების ისტორიულ გამოცდილებას საქართველოში და ასევე იმას, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობდა მათ მიმართ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბების პერიოდში.

მეორე თავში აღწერილია ის, თუ რა გზა განვლო და როგორი ფორმირება განიცადა ეთნიკური უმცირესობების მხრივ არსებულმა ინსტიტუტებმა. ასევე აქცენტი არის იმაზეც, თუ რა მდგომარეობაა ენობრივი, სოციო-ეკონომიკური საკითხების მხვრივ, ძირითადად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.

ნაშრომის მესამე ნაწილში წარმოდგენილია დასავლეთის ქვეყნებში არსებული ზოგადი ვითარება, როგორ მექანიზმებს იყენებს ესა თუ ის ქვეყანა და რამდენად ეფექტურია ის.

თემის შესწავლისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს პირველად და მეორად წყაროებს. ასევე ექსპერტულ ინტერვიუს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან. კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკურ დღის წესრიგში ნამდვილად დგას იმ ძირითადი პრინციპების განხორცილება, რასაც 2009 წლის შემწყნარებლობის კონცეფცია გულისხმობს და ამ პრინციპების განხორციელება და გათვალისწინება ნამდვილად ხელს უწყობს ინტეგრაციის ხარისხს.

Abstract

The attitude towards ethnic minorities was felt from the time of the first constitution in Georgia. The following work studies and shows the current circumstances about ethnic minorities living in Georgia. The aim of this work is to introduce readers what steps are being taken by the Georgian government in relation to ethnic minorities and if our country overviews the basic principles of tolerance concept of 2009.

The first chapter of this work is dedicated to the historical experience of ethnic minorities in Georgia. Also, what manner of attitude is about them through the establishment of the First Republic of Georgia.

The second chapter describes the way which has passed to form the institutions of ethnic minorities. Also, the focus is about the situation through language, social-economic issues, mainly in Samtskhe – Javakheti and Kvemo Kartli.

The third part of the work presents general situation in western countries, what mechanisms they use in relation of ethnic minorities and how effective it is.

To study this topic, we use qualitative research method. The research methodology includes first and secondary sources, as well as an interview with experts and the students of ethnic minorities. Based on this research, it was established that Georgian government overviews the basic principles of tolerance concept of 2009, which truly improves integrational level of ethnical minorities in Georgia.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I: ეთნიკური უმცირესობების ისტორიული გამოცდილება საქართველოში 17

1.1 ისტორიული მეხსიერება 17

1.2 საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბება და უმცირესობები 18

1.3 სომხები და ქართველები 20

1.4 აზრბაიჯანელები და ქართველები 21

თავი II: ეთნიკური უმცირესობების ინსტიტუციონალური მხარე და არსებული ვითარება 22

2.1 ეთნიკური უმცირესობების მართვის ინსტიტუციური მდგომარეობის ფორმირების პროცესები 22

2.2 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული სტრატეგია და 5 წლიანი სამოქმედო გეგმა 24

2.3 2018 წელს განხორციელებული მთავრობის ანგარიში 27

2.4 ეთნიკური უმცირესობების ზოგადი ვითარება სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში 28

თავი III: ეთნიკური უმცირესობების დასავლური გამოცდილება 40

3.1 ეთნიკური უმცირესოების ცნების მნიშვნელობა 40

3.2 ეთნიკური უმცირესოების ინტეგრაციის საკითხები პრაქტიკაში 41

დასკვნა 45

გამოყენებული ლიტერატურა: 47

დანართი: 53

შესავალი

სიტყვა ეთნიკური და ეთნიკური კუთვნილების მინიჭება ბერძნული სიტყვა „ეთნოსიდან“ წარმოიქმნა. ენტონი დ. სმიტი, ეთნიკური ნაციონალიზმის მეცნიერ-მკვლევარი გამოავლენს ეთნიკურ კრიტერიუმებს, მათ შორის კი მოიაზრება საერთო ისტორიული გამოცდილება და მოგონებები, საერთო კულტურა, რომელიც შეიძლება ჯგუფს გააჩნდეს. ეთნიკური იდენტობა განიხილება, როგორც ინტენსივობისა და გამძლეობის თვალსაზრისით და როგორც ეგზისტენციალური ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალურ თვითმყოფადობას. (Kempin, 2017)

ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ინტერესის საგანს ერებს შორის. ეთნიკურობა და ეთნიკური პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და გავლენას ახდენს ადამიანთა ყოფასა, თუ კომუნიკაციაზე. ამ მხრივ, არც საქართველოში არსებული მდგომარეობა ითვლება გამონაკლისად და ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია ,თუკი გადავხედავთ ქვეყნის, როგორც წარსულს ასევე აწმყოს ვითარებას.

საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა შემადგენლობა საკმაოდ ცვალებადია და ეს ცვალებადობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიულ ფაქტორთან,დიდია განსხვავება 1989 წლიდან მოყოლებული დღემდე. „1989 წლის აღწერის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობაში ეთნიკურ უმცირესობათა რიცხვი 30%-ს შეადგენდა, ხოლო 2012 წლის მონაცემების მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობათა მაჩვენებელი 16% იყო, აფხათესია და ცხინვალის რეგიონის მონაცემების გამოკლებით.” (სართანია, 2017).

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მთავარი მიზანია მკითხველს შეუქმნას ზუსტი წარმოდგენა ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოში. საკვლევი თემა მოიცავს, მრავალ ასპექტს, სადაც განხილულია ძირითადი საფრთხეები და პრობლემები, რაც ხელს უშლის ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ადგილობრივ მცხოვრებლებთან. ნაშრომში ხაზგასმით არის საუბარი

იმაზე,თუ რა პოლიტიკას ატარებს სახელმწიფო ეთნიკური უმცირესობების მხრივ და რა სერიოზული ნაბიჯები განხორციელდა ბოლო პერიოდის მანძილზე, განსაკუთრებით მთავარი დატვირთვა ნაშრომში აქვს შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციას, ანუ თვალნათლივ არის გამოკვეთილი კონცეფციის მიზნები და შემუშავებული ამოცანების ანალიზი და ის, თუ რამდენად შეძლო ქვეყანამ ამ კონცეფციის იდეების გათვალისიწნება. აქ იგულისხმება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე ქართული ენის სწავლების მხრივ ასრებული ვითარება და მათი ინტეგრირება ქართულ საზოგადოებასთან.

ნაშრომის მთავარი სიახლე და მიზანია, რომ მკითხველმა უფრო მეტი გაიგოს ამ საკითხის ირგვლივ არსებული რეალობის შესახებ, აღმოაჩინოს ძირითადი განხვავებები, რა ღონისძიებები გატარდა ბოლო წლებში და იქონია, თუ არა ამან გავლენა ინტეგრაციის ხარისხის ზრდაზე, რა ნაბიჯებს დგამს სახელმწიფო ამისთვის და რამდენად ეფექტურია შემუშავებული პოლიტიკა. ნაშრომი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ განხილულია სამეცნიერო დონის მასალები, კერძოდ კი იმ ადამიანთა სტატიები, რომლებიც საკმაოდ ღრმად არიან ჩახედული არსებული საკითხის არსში და უმუშავიათ კიდეც ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემებზე. მნიშვნელოვანია აღვნიშნო ისიც, რომ ნაშრომში ყურადღებაა არის გამახვილებული საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ეთნიკურ უმცირესობებზე, კერძოდ კი აზერბაიჯანელებსა და სომხებზე.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ნაშრომის მთავარი განსახილველი თემა არის ის, რომ დადგინდეს, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს სახელმწიფო ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში.

კვლევის აქტუალობა - საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს ქვეყანაში არსებული ვითარება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მხრივ. ეთნიკური უმცირესობების ნაკლებმა ინტეგრაციამ და საზოგადოებაში ჩართულობამ შეიძლება ქვეყანა დააყენოს მრავალი დილების წინაშე,მაგალითად გარიყული მდგომარეობით ისინი შეიძლება წავიდნენ სახელმწიფოს წინააღმდეგ და მომავალში ეს სეპარატიზმის საფრთხითაც შეიძლება გამოვლინდეს, გარდა ამისა მათი ინტეგრაციის პრობლემა

მნიშვნელოვანია, ვინაიდან სახელმწიფოში ისინი რეალურ ელექტორატს წარმოადგენენ და იმსახურებენ სახელმწიფოს მხრიდან იყვნენ ყურადღების ცენტრში, ასევე მათი ნაკლები ჩართულობით საზოგადოებაში სახელმწიფო კარგავს უამრავ რესურსს, ამიტომ თითეული მათგანის უნარები უფრო კარგად უნდა იქნეს გამოვლენილი და მოხდეს მათი ჩართულობა შესაბამის კატეგორიაში, მათი უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით. პრობლემა, რომელიც ამ მხრივ შეიძლება წარმოიქმნას მრავალგვარია და გაუცხოების პოლიტიკამ შეიძლება ქვეყნის გარეთ მოქმედ ძალებს დესტაბილიზაციის საბაბიც კი მისცეს.

სახელმწიფო ვალდებულია გაითვალისწინოს ყველა ის საშიშროება და საფრთხე, რაც შეიძლება გამოვლინდეს არსებული პრობლემების შემთხვევაში. პირველი სეპარატიზმის არსებობა ერთ-ერთი მთავარი საფრთხეა, რაც კიდევ შეიძლება სახელმწიფოს დაემუქროს ეთნიკური უმცირესობების მხრიდან, რაც როგორც აღვნიშნე ნაკლები ინტეგრაციის შედეგად არის მოსალოდნელი. ამიტომ მათი ჩართულობა პოლიტიკურ, თუ სოციალურ საქმიანობაში ძალიან მნიშვნელოვანია.

სახელმწიფომ ჯეროვნად უნდა შეაფასოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოტენციალი და შესაძლებლობები, იგულისმხება სხვადასხვა სფეროებში არსებული გამოცდილება და განსაკუთრებული შესაძლებლობები, ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ეს რესურსი და უნდა მიეცეს ასევე მათაც უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარება, რათა გამოადგეს სახელმწიფოს.

გარდა იმ საფრთხეებისა, რაც მკვეთრად ვლინდება ამ საკითხის ირგვლივ სახელმწიფო ვალდებულიც კი არის დაიცვას და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე.

მიზანი: კვლევაში გამოკვეთილია ძირითადი მიზნები, რაზეც დამყარებულია ნაშრომის, როგორც სტრუქტურული ასევე შინაარსობრივი მხარე.

კვლევის მიზანია დადგინდეს, თუ რა ნაბიჯებს დგამს სახელმწიფო ინტეგრაციის განვითარების მხრივ და რამდენად ეფექტურია მათი მუშაობის ხარისხი, ითვალისწინებს თუ არა სახელმწიფო შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციას და სამოქმედო გეგმას პოლიტიკურ საქმიანობაში და როგორია ქვეყნის

სახელმწიფო პოლიტიკა და რა ცვლილებები გატარდა ბოლო წლებში, კერძოდ კი 2014 წლიდან 2019 წლამდე.

კვლევის კიდევ ერთი მიზანია მკითხველს შეექმნას ზუსტი წარმოდგენა ეთნიკური უმცირესობების მიმართ საქართველოში.

კვლევის ამოცანები:

დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა კვლევითი ამოცანების შესრულება:

1. შესწავლილ იქნას შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ძირითადი მიმართულებები.
2. გაანალიზდეს 2015 წელს შექმნილი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის ძირითადი მახასიათებლები და შეფასდეს ის, თუ რამდენად ზუსტად ანხორციელებს მას სახელმწიფო.
3. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, კერძოდ აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობის მდგომარეობის შესწავლა ინტერვიუების მეშვეობით.

საკვლევი კითხვა: რამდენად ეფექტური აღმოჩნდა 2009 წელს მიღებული კონცეფცია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასთან მიმართებაში?

ჰიპოთეზა: რაც უფრო მეტად ცდილობს სახელმწიფო კონცეფციის იდეების გათვალისიწინებას პოლიტიკურ დღის წესრიგში მით უფრო ეფექტურია ინტეგრაციის ხარისხი.

თეორიული ჩარჩო - თეორიული ჩარჩო ეყრდნობა ნაშრომს „ლიბერალური მულტიკულტურიზმი და დიფერენცირების პრობლემა კანადის მაგალითზე.“ ნაშრომის მიხედვით, “ლიბერალური მულტიკულტურიზმი აღნიშანვს შემწყნარებლობის დაცვას და პატივისცემას სხვადასხვა ინდივიდუალური განსხვავებულობის მიუხედავად, რომელიც დაფუძნებულია ყველას თანასწორობაზე და თანაბარუფლებიანობაზე.“ (Sanchez, 2009). ამგვარად, ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ეხება მულტიკულტურიზმის არსებობას ეხმიანება ჩემს თემას იმ მხრივ, რომ განსხვავებული ხალხის, ეთნოსის კულტურული მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი ღირებულებაა და

საჭიროა ურთიერთობების ჩამოყალიბება კანის ფერის, ეთნიკური მრავალფეროვნებისა თუ რაიმე სხვა ნიშნის განსხვავებულობის მიუხედავად.

ნაშრომი იმითაც არის საინტერესო, რომ ავტორს მოხმობილი აქვს უილ კიმლიჩკას „მულტიკულტურიზმის თეორია“ და განიხილავს მის ძირითად იდეას. კიმლიჩკას თეორია ითვალისწინებს აუცილებლობას იმისა, რომ დაცული უნდა იყოს ეთნოკულტურული უმცირესობების უფლებები, რომლებიც იმყოფებიან შთანთქმის საშიშროების ქვეშ. კიმლიჩკა ამბობს „განდეგილ უმცირესობებს აღარ სურთ დაიმალონ და გარიყული იყვნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გამოირჩევიან ერის, კულტურის, უნარ-ჩვევებისა თუ სხვა მახასიათებლების მიხედვით. ისინი ითხოვენ მოქალაქეობის მეტად ინკლუზიურ კონცეფციას, რომელიც ითვალისიწნებს და არ უარყოფს მათ განსხვავებულობას .“ (Sanchez, 2009).

გარდა დადებითი მხარეებისა, რაც ნახსენებია ნაშრომში კიმლიჩკას თეორიის შესახებ ავტორი გამოყოფს უარყოფით მახასიათებელსაც, რაც თეორიას გააჩნია. პირველ რიგში ის, რომ კიმლიჩკა გამოკვეთს ეთნოკულტურულ ჯგუფთა უფლებების იდეას, თუმცა მთავარ ნაკლად ნახსენებია ის, რომ თეორიას აკლია უფრო მეტი დასაბუთება და რომ ყურადღება გამახვიალებულია პოლიტიკურ წყობასა და ჯგუფების უფლებების სამართლიანობაზე, თუმცა არ ითვალისწინებს საზოგადოებაში მათ ურთიერთობებს, ანუ თეორიაში ასახულია „ადამიანთა საუკეთესო ვერსია და არ არის გათვალისწინებული ის, რომ ადამიანები არ არსებობენ ნაკლის გარეშე.“ (Sanchez, 2009).

მონიკა სანჩესს ლიბერალური მულტიკულტურიზმის იდეა განხილული აქვს კანადის მაგალითზე, სადაც ხაზგასმით არის ნახსენები იმ პრობლემის შესახებ, რაც ხდება ქვეყანაში, როდესაც ჩამოდიან სხვა ერების წარმომადგენლები, ისინი გარიყულნი არიან და ქმნიან ერთგვარ უმცირესობათა ერთობლიობას. ავტორს საკმაოდ კარგად აქვს ჩამოყალიბებული, როგორც პრობლემის არსი ასევე მისი მოგვარების იდეა. ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მსგავად უმცირესობებსაც თავიანთი კულტურა, ენა, წარსული, ადათ-წესები გააჩნიათ, რა თქმა უნდა, ცნობილია და არსებობს ინტეგრირების პრობლემა ადგილობრივ ეთნოსთან, ამიტომაც ავტორი გვთავაზობს პრობლემის მოგვარების გზას, რაც გულისხმობს მათ ინტეგრაციას პროფესიული

კუთხით. სამუშაო გარემოში ადამიანები უკეთ გაიცნობენ ეთნიკური უმცირესობების კულტურას და ეს გამოიწვევს „უმტკივნეულო შეგუებასა და შემწყნარებლობას.“ (Sanchez, 2009).

მოცემული კვლევა იმით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ გადმოცემულია ზოგადი ახსნა მულტიკულტურიზმისა და ასევე მსჯელობა, რომელიც გამოყენებულია მულტიკულტურიზმის თეორისაა კიდევ უფრო მეტ ინტერესს სძენს ნაშრომს და ხსნის მნიშვნელოვან საკითხებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და ეხმიანება ჩემს თემას ეს არის პრობლემის მოგვარების გზა, პროფესიული კუთხით, სადაც იგულისხმება „მუნიციპალური„ სამსახურები, რაც კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ავტორის აზრით, გამოიწვევს მეტ დაახლოებას კულტურულად სხვადასხვა ხალხს შორის ეს კი ინტეგრაციის განმტკიცების ერთ-ერთ გარანტად სახელდება.

კვლევის მეთოდოლოგია – ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობისა და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის შესასწავლად გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდი. ამგვარად, კვლევა არის თვისებრივი ხასიათის, რადგანაც თვისებრივ კვლევას გააჩნია ის მახასიათებლები რომელიც საშუალებას იძლევა შესრულდეს არსებული ამოცანები და მიზნები, შესაბამისად არსებული მეთოდი ხელს შეუწყობს კვლევას, რათა ის ჩატარდეს საფუძვლინად და მაქსიმალურად სწორად გამოვლინდეს, თუ როგორ მუშაობს სახელმწიფო ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მხრივ და რამდენად ეფექტურია მისი პოლიტიკა. თვისებრივი კვლევის გამოყენება არის მიზნობრივი, რადგან მისგან განსხვავებით რაოდენობრივი კვლევა არ იძლევა საკითხის სრულყოფილად შესწავლის საშუალებას. კონკრეტულად მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგს:

- ✓ მეორადი წყაროების ანალიზი და ლიტერატურის ანალიზი, სადაც იგულისხმება არსებულ თემაზე ლიტერატურის შესწავლა;
- ✓ სახელმწიფოს მიერ შექმნილი დოკუმენტების სამოქმედო გეგმის,კონცეფციის, ანგარიშისა და სტრატეგიის ანალიზი;
- ✓ კვლევაში გამოყენებული იქნება ექსპერტული,სიღრმისეული ინტერვიუ. ინტერვიუს ჩატარების დრო და ადგილი წინასწარ იქნება შეთანხმებული

რესპოდენტთან. რესპოდენტთა შერჩევა მოხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეეფერება მათი ცოდნა და გამოცდილება არსებულ კვლევას. გამომდინარე იქედან, რომ არსებული საკითხი მოითხოვს ღრმა ცოდნას ექსპერტული ინტერვიუ ნამდვილად კარგი მეთოდია. ამ შემთხვევაში კი მართებულია ინტერვიუს ჩატარება ეთნიკურ უმცირესობებზე მომუშავე სხვადასხვა გამოცდილ ფიგურასთან, კერძოდ, სამინიტროს წარმომადგენელ პირთან ან ექსპერტებთან, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საკითხის შესწავლაში;

- ✓ კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებიც მინიმუმ 2 წლის მანძილზე ცხოვრობენ საქართველოში და კიდევ აპირებენ ცხოვრების გაგრძელებას, მათი გამოკითხვის მიზანია, იმის დადგენა, თუ როგორ აფასებენ შექმნილ მდგომარეობას, მათი ინტეგრაციის ხარისხს და აქვთ, თუ არა სამომავლო ხედვები არსებულ ვითარებსთან დაკავშირებით, კერძოდ როგორ აფასებენ სახელმწიფო პოლიტიკას და რამდენად ეფექტურად თვლიან მას. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ უმცირესობის წარმომდგენლები იქნებიან სტუდენტები და სხვადასხვა ეროვნების, 18 დან 25 წლამდე პირები.

სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად მოხდება გამოკითხულ რესპოდენტთა ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

ცვლადები:

დამოუკიდებელი ცვლადი: სახელმწიფოს პოლიტიკური დღის წესრიგი;

დამოკიდებული ცვლადი: ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხარისხი;

ანალიზის ერთეული - კვლევაში ანალიზის ერთეულის სახით გვხვდებიან ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და სწორედ ეთნიკური უმცირესობები არიან საკვლევი ობიექტები. რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების განმარტებას „არ არსებობს ტერმინ „ეთნიკური უმცირესობა“ ზუსტი განმარტება, თუმცა სპეციალისტთა უმრავლესობა თანხმდება შემდეგ განმარტებაზე,

რომ ეროვნული უმცირესობა არის მოცემულ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არადომინირებული ნაწილი, რომელიც უმრავლესობისაგან თავისი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლით განსხვევდებიან და უნდა შეინარჩუნონ საკუთარი თვითმყოფადობა.“ (ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2008).

ანალიზის ერთეულს, რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობების შესწავლით მოხდება მისი განსაზღვრა, ნაშრომის კვლევაში ჩართულნი იქნებიან სწორედ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

ლიტერატურის მიმოხილვა - ეთნიკურად უმცირეობაში მყოფი პირები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე საჭიროებენ ყურადღებას, ზრუნვას, რათა მათ იგრძნონ თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად. მათ ინტეგრაციას უამრავი ფაქტორი განაპირობებს, თუმცა ჩემს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზის მიხედვით, მთავარი სახელმწიფო პოლიტიკა და სწორი ცვლილებების გატარებაა, რაც ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა, რომ სახელმწიფოში მცხოვრებმა ნებისმიერმა ეთნოსის წარმომადგენელმა თავი იგრძნოს, როგორც ქვეყნის სრულუფლებიანმა მოქალაქემ. ერთ-ერთ სტატიაში “ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი (ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში)“ დავით ზურაბიშვილი განიხილავს ინტეგრაციის მნიშვნელობას და მასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. სტატია წარმოადგენს 2003 წელს შედგენილ დოკუმენტს და ასახავს მაშინდელ ვითარებას ეთნიკური უმცირესობების კუთხით. “სიტუაციის რეალური შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მიზანმიმართული და კარგად გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკის მეშვეობით. იმგვარი პოლიტიკით, რომელიც მიმართული იქნება ეთნიკური უმცირესობების ქართულ სახელმწიფოში ინტეგრირებისკენ.“ (ზურაბიშვილი, 2003). ამგვარად, ავტორს მთავარ ფუნდამენტად სახელმწიფოს როლი მიაჩნია, სახელმწიფო სწორედ ის ძალაა, რომელიც უნდა ცდილობდეს შექმნას ისეთი გარემო და საზოგადობა, სადაც იქნება თანასწორობა.“ სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციას.“ (ზურაბიშვილი, 2003). კონცეფციის სწორად ჩამოყალიბება და მიზნების გაცნობიერება ხელს შეუწყობს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს ექნება ზუსტი ხედვა, რათა ვითარება უკეთესობისაკენ

შეცვალოს. დავით ზურაბიშვილს სტატიაში ასევე დასმული აქვს საკითხი თავად ტერმინოლოგიის გამოყენების მხრივ დღეს საქართველოში ერთმანეთის პარალელურად იხმარება სხვადასხვა ტერმინი: „არაქართული მოსახლეობა“, „ეროვნული უმცირესობა“, „ეთნიკური უმცირესობა“, „დიასპორა“. სახელმწიფოსთან ინტეგრირების თვალსაზრისით, ალბათ ყველაზე ნეიტრალური და აქედან გამომდინარე, ყველაზე მოხერხებული ტერმინია „ეთნიკური უმცირესობა.“ (ზურაბიშვილი, 2003). მართლაც და ტერმინთა მრავალგვარი განმარტებები არსებობს და მისი სწორად დამკვირდება და გამოყენება კიდევ ერთი აუცილებელი წინაპირობაა ინტეგრაციისა.

დავით ზურაბიშვილს ზოგადად აქვს განხილული სახელმწიფოში არსებული რეალური მდგომარეობა ეთნიკური უმცირესობების კუთხით და აყალიბებს მის ხედვებს, ამოცანებს და სვამს რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას. ერთი-ერთი მთავარი ნაკლი, რაც ავტორს ახასიათებს არის ის, რომ ნაშრომში არსებული პრობლემები მოითხოვდა უფრო მეტ დასაბუთებას, ვიდრე სტატიაში არის გამოკვეთილი.

სტატიაში „ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი (ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში) ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობას საქართველოში განიხილავს კიდევ ორი ავტორი არნოლდ სტეპანინი და ზაურ ხალილოვი. არსებულ ნაშრომში ავტორებს ასახული აქვთ საქართველოს „ახლო წარსულის მემკვიდრეობა.“ (სტეპანიანი & ხალილოვი, 2003) და ასევე ზოგადი ფონი, რაც შეიქმნა სახელმწიფოს ფორმირების პროცესთან ერთად და ისიც, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა პირველად სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ.

სტატიაში ავტორები საუბრობენ, თუ რა განსხვავება არსებობს არა მარტო ქართულ ენოვან და ეთნიკურად დასახლებულ მოსახლეობას შორის, არამედ თავად ეთნიკური უმცირესობების შიგნითაც, რომ განსხვავებულია მათი განათლებისა და ქართული ენის ცოდნის დონე „ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები განათლებას იღებენ აზერბაიჯანულ ენაზე, ხოლო შიდა ქართლის აზერბაიჯანელები - ქართულად. თბილისში მცხოვრები სომხები უფრო მეტად არიან ინტეგრირებულნი ქართულ

საზოგადოებაში, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები (რომელთა უმრავლესობამაც არ იცის ქართული ენა)“. (სტეპანიანი & ხალილოვი, 2003).

მოცემულ ნაშრომში არა ერთი ფაქტორია განხილული, რაც ხელს უშლის არაქართულენოვანი მოსახლეობის სწორ და ჯანსაღ ინტერგაციას უმრავლესობასთან. ერთი-ერთი მთავარი ფაქტორი რაშიც ავტორებს სრულიად ვეთანმხები არის “ლინგვისტური ბარიერი„ ენის პრობლემა მართლაც ხელს უშლის ადამიანთა დაახლოებას და ადგილოებრივ საზოგადოებასთან ურთიერთობას. აბსოლუტურად ვემხრობი ავტორებს და მეც ვიზიარებ იმას, რომ სახელმწიფოს ოფიციალური ენის უცოდინრობა ნამდვილად ართულებს ქვეყნის ადგილობრივ მოსახლეობასა და ეთნიკურ უმცირესობათა ურთიერთობების მჭიდროდ დაახლოებას, მათ შრომისუნარიანობას ქართულ ბაზარზე, ავტორები არა მარტო საუბრობენ ამ პრობლემაზე არამედ გვთავაზობენ პრობლემის გადაჭრის რეალურ გზებს, რაც ჩემი აზრით, საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული მათ ნაშრომში. პირველ რიგში, აღნიშნავენ იმას, რომ აუცილებელია სწორი ენობრივი პოლიტიკის გატარება, რაშიც კონკრეტულად იგულისხმება პედაგოგების სათანადოდ მომზადება.

გარდა ენის ბარიერისა, პრობლემის სირთულე ასევე დაკავშირებულია სამოქალაქო ცნობიერებასთანაც, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ საჭირო ცოდნა იმის შესახებ, თუ რა უფლებები და მოვალეობები აქვთ მათ, როგორც ქვეყნის მოქალაქეებს, არსებული საკითხი განხილულია სტატიაში და ავტორები თვლიან, რომ ეს ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია მათი ინტეგრაციისა. “ეთნიკურ უმცირესობათა ყველაზე აქტიური წარმომადგენლებიც კი არ ფლობენ ინფორმაციას საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში არსებული, უმცირესობათა უფლებების დაცვის კონკრეტული მექანიზმების შესახებ, უფრო მეტიც: საერთოდ არ იციან ასეთი ბაზის არსებობა მითითებულ დოკუმენტებში“. (სტეპანიანი & ხალილოვი, 2003).

ერებს შორის ურთიერთობის განმტკიცებისა და დაახლეობის მთავარ გარანტად ისინი იხმობენ შემდეგ მთავარ ფაქტორებს: პოლიტიკურ სფეროში უმცირესობების რაოდენობათა ზრდა, დასაქმების პრობლემების მოგვარება, სამართლებრივი მხარის

გაძლიერება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და კულტურული მხარის გაძლიერება და ამასთანავე ენობრივი პრობლემების გამოსწორება.

ამგვარად, თითოეული ფაქტორი ძალიან დიდ როლს თამაშობს ინტერგაციის პრობლემების მოგვარებაში, თუმცა ყველაზე მეტად გამოვყოფდი კულტურათა დიალოგის შექმნას, სადაც ერთი მხრივ გვთავაზობენ უფრო განსხვავებულ ხედვებს და მიიჩნევენ, რომ კულტურული მრავალფეროვნება დადებით ფაქტორად უნდა განიხილებოდეს და მეორე მხრივ აყალიბებენ სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის ტიპებს, სადაც იკვეთება აზრი იმისა, რომ მოქალაქეები არიან კულტურული ერთობის წევრები, რომელშიც მოიაზრება: ისტორია, ენა, ტრადიციები, ცხოვრებისეული წესი. ერთ-ერთი ავტორის გია ნოდიას ნარკვევში „საქართველოს პოლიეთნიკურობა: ფაქტი, მასთან მიმართება და მოსაზრებები პოლიტიკური სტრატეგიისათვის“ ასახულია ზოგადი სურათი არაქართულენოვანი მოსახლეობის მდგომარეობისა. ავტორს ძირითად პლანზე წამოჭრილი აქვს პოლტიკური ასპექტი და ყველაზე დიდი მნიშვნელობაც მას აქვს მინიჭებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ნარკვევში გადმოცემულია ვითარება ეთნიკური უმცირესობების სტატისტიკისა და ასევე წარსულის მდგომარეობის შესახებ.

ავტორის მიერ წარმოდგენილი ეთნოდემოგრაფიული სურათით, თუ ვიმსჯელებთ 2002 წლის აღწერის თანახმად “საქართველოს მოსახლეობის 83,7%-ს ეთნიკური ქართველები შეადგენენ. შესაბამისად, 16.3% ეთნიკური უმცირესობებია.“ (ნოდია, 2003), სადაც იკვეთება მკვეთრდი ცვლილება წინა წლების მონაცემებთან შედარებით. გარდა ამ სტატისტიკური მონაცემებისა ნარკვევში წარმოდგენილია ეთნიკური უმცირესობების განსახლების ადგილები საქქართველოს ტერიტორიაზე „ორი ჩამოჭრილი ტერიტორიის გარდა, ეს არის სამცხე-ჯავახეთი (სომხური მოსახლეობით) და ქვემო ქართლი (აზერბაიჯანული მოსახლეობით), აგრეთვე ვაინახების - ჩეჩნების და ინგუშების - მონათესავე მცირერიცხოვანი ქისტი მოსახლეობა, რომელიც პანკისის ხეობაშია თავმოყრილი.“ (ნოდია, 2003).

მოცემული სტატიიდან კარგად ჩანს, თუ რა ინდიკატორს იყენებს ავტორი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირებულობის დასადგენად. პირველ რიგში,

ვიზიარებ შეხედულებას, რომ არჩევნებში მონაწილეობა მართალაც ახდენს გავლენას წარმოდგენა გვგქონდეს ინტეგრირებულობის ხარისხზე, ამ მოსაზრებას ამტკიცებს ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში არჩევნების ჩატარების ხარისხი ჯერ კიდევ დასახვეწია და ბევრ ხარვეზებს შეიცავს. ამგვარად, უფრო ჭეშმარიტ ინდიკატოტად გამოდგება სახელმწიფო ინსტიტუტებში მათი მონაწილეობის დონე (პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები). სტატიაში ავტორი საუბრობს, თუ როგორია ეთნიკური უმცირესობების ეკონომიკური მდგომარეობა. თვალისაჩინოებისათვის ის საუბრობს კვლევაზე, კერძოდ კი გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში ჩატარებულ კვლევაზე, სადაც აღნიშნულია, რომ ეთნიკური უმცირეობების, ამ შემთხვევაში კი აზერბაიჯანელების ცხოვრების დონე არ არის საგანგაშო „აზერბაიჯანელების ცხოვრების ეკონომიური დონე რამდენადმე მაღალიც კია, ვიდრე ქართველების.“ (ნოდია, 2003).

თავი I: ეთნიკური უმცირესობების ისტორიული გამოცდილება საქართველოში

1.1 ისტორიული მეხსიერება

საქართველოს ისტორიული მეხსიერება და წარსული გამოცდილება მკაფიოდ მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანამ ძნელბედობის ჟამი და ბევრი ჭირ-ვარამი გამოიარა.ერთ-ერთი მთავარი წითელი ხაზი, რომელიც თან სდევს საქართველოს ისტორიას ეს არის საბჭოთა კავშირის პერიოდი, თუმცა აღსანიშნავია, რომ პოსტ-კომუნისტური პერიოდის შემდგომაც იყო არა ერთი დაძაბული და სისხლიანი პერიოდი, მათ შორის ეთნიკური დაძაბულობა. "რომელმაც ორ შემთხვევაში (აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთი) მისი ფაქტობრივი ტერიტორიული დეზინტეგრაცია გამოიწვია." (დუნდუა & აბაშიძე, 2009, გვ.11). ამ მოვლენათა ფონზე, რაც მოხდა აფხაზეთისა და ოსეთის შემთხვევაში საზოგადოებაში გაჩნდა ერთგვარი შიში და დაძაბული განწყობა ეთნიკური უმცირესობების მიმართ, შიში სეპარატიზმის არსეობიბისა და ქვეყანაში დაძაბულობის შექმნისა. ამგვარად, ის დამოკიდებულება, რაც საზოგადობაში შეიქმნა ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ ბუნებრივია არ არის უცხო და არც გასაკვირი, რადგან მას ჰქონდა თავისი მიზეზები და სწორედ წარსული გამოცდილებით იყო ნაკარნახები.

მსოფლიოში ეთნიკური უმცირესობებისადმი პირველი დიდი გამოხმაურება იყო უმცირესობათა დაცვის პირველი მექანიზმი. „ამოქმედდა 1976 წლის 23 მარტს, ეს იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (უმცირესობების უფლებების დაცვის ისტორია, 2015). არსებული ვითარება, რაც არსებობდა წარსულში ეთნიკური უმცირესობების მიმართ არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც არ იყო უცხო, მსგავსი პრეცედენტები და დაძაბულობა არსებობდა მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას, სწორედ ამ მიზეზით გადადგა გაერომ პირველი, დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები მათი უფლებების დაცვისა და სრულფასოვანი ცხოვრების მიზნით. „ გაეროს წესდებამ შექმნა

პრეცედენტი, რომლის საფუძველზეც დაიწყო სხვადასხვა სამართლებრივი აქტების მიღება, რომელთაგანაც გამორჩეულია საერთაშორიშო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1965 წ.).“ (უმცირესობების უფლებების დაცვის ისტორია, 2015). ამგვარად, საქართველოს ისტორიულ მეხსიერებას, რომ დავუბრუნდეთ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში არსებობდა ბევრი დაბრკოლება, რაც აფერხებდა ინტეგრაციის ხარისხს ადგილობრივ ეთნოსთან, მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყანაში არსებობდა სრული ქაოსი, არ იყო ძლიერი ინსტიტუტი, რომელიც შეძლებდა მათ ხელშეწყობასა და განვითარებას, ბუნებრივია მაშინ, როდესაც ქვეყანა ახალი გამოსული იყო წარსულის ბურუსიდან არ არსებობდა ამგვარი ბერკეტები. ეთნიკური უმცირესობების უმეტესი ნაწილი გარიყული იყო საზოგადოებისგან, თანაც საბჭოთა კავშირის გავლენა არსებობდა ენის ცოდნის მხრივაც, ფაქტობრივად ენის ცოდნის მხრივ იყო სერიოზული პრობლემები და ძირითადად საზოგადოების ნაწილი, რომელიც წარმოადგენდა ეთნიკურ უმცირესობას არ ესმოდათ და ვერ საუბრობდნენ ქართულად, მათი სამეტყველო ენა ძირითადად იყო რუსული ენა, რაც სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ინტეგრაციის განვითარების მხვრივ.

1.2 საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბება და უმცირესობები

1918-1921 წლის პერიოდში საქართველომ ხანმოკლე დამოუკიდებლობა მოიპოვა და დროებითმა თავისუფლებამ შეძლო მცირედით მაინც შეეცვალა ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ზოგადი სურათი და მოხდა გარკვეული ძვრები ამ მიმართულებით. პირველ რიგში ეთნიკური უმცირესობებისადმი ინტერეს ვხედავთ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში, სადაც ჩამოყალიბებული იყო ძირითადი ამოსავალი პრინციპები, რაც საჭირო იყო ნორმალური, თავისუფალი სახელმწიფოს არსებობისთვის. ერთ-ერთი კი სწორედ იყო „საქართველოს საზღვრებში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალი განვითარება.“ (მაცაბერიძე, 2018, გვ.10). ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის პირველ წლებშივე დაისახა მიზნად ეთნიკურ უმცირესობათა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება და ეს იმდროინდელი ვითარებისთვის ნამდვილად იყო სწორად დასახული ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, ამაზე კარგად მეტყველებს ასევე საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელიც შეიქმნა 1921 წელს დამფუძნებელი კრების მიერ.

საყურადღებო ფაქტია 1918 წლის 13 ივლისის კომისის დადგენილება, სადაც ასევე ნახსენებია ეთნიკური უმცირესობების საკითხი „1918 წლის 13 ივლისის სხდომაზე კომისიამ დაადგინა, რომ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დაჩქარებისა და გაადვილების მიზნით, ის ცალკეულ თავებად დაეყოთ და კომისიის წევრთა შორის გაენაწილებინათ. პ. საყვარელიძეს დაევალა შეემუშავებინა: საზოგადო დებულებანი, სახელმწიფო ტერიტორია, მოქალაქეთა უფლებანი, ს. დადიანს - ეროვნული უმცირესობების უფლებანი.“ (მაცაბერიძე, 2011, გვ.19).

კონსტიტუცია მრავალ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, თუმცა ერთ-ერთ თავში გადმოცემული დეტალი მეტად საინტერესოა, უფრო ზუსტად კი გამოხატულია ის უფლებები, რაც ერს გააჩნია „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას.“ (1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია, თავი4, მუხლი 52).

კონსტიტუციის მიღებდამდე აკაკი ჩხენკელი აღნიშნავდა: „მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ინტერესები - მთელის სახელმწიფოსი და ნაწილის - ეროვნული უმცირესობისა: ერთის ბედნიერება მეორეს ბედნიერებაა და ერთის უბედურება - უბედურებაა მეორესთვის. აყვავება სახელმწიფოსი არის აყვავება და გამდიდრება უმცირესობისა.“ (დუნდუა & აბაშიძე, 2009, გვ.32).

ამგვარად, საქართველოს 1918-1921 წლის პერიოდი მნიშვნელოვნად დიდი იდეისა და მიზნის მატარებელია, პირველ რიგში, ამ პერიოდს ეკუთვნის დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი კონსტიტუცია და ვფიქრობ, რომ მან მნიშვნელოვნად გარდამტეხი როლი ითამაშა იმდროინდელი საქართველოს ისტორიაში, სამწუხაროა, რომ საქართველოს დიდხანს არ დასცალდა ამ კონსტიტუციის მიხედვით ცხოვრება, რადგან მიმაჩნია, რომ ის ღირებულებები და პრინციპები, რასაც კონსტიტუცია წარმოადგენდა ნამდვილად იყო დემოკრატიული იდეებისაკენ მიმართული ერის ხმა. “მაშინდელი კონსტიტუციონალიზმი ქმნიდა საყოველთაო თანასწორობის და საჯარო - პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ინსტიტუციონალურ საფუძვლებს. ეთნიკურ უმცირესობებს ეძლეოდათ საშუალება მიეღოთ განათლება მშობლიურ ენაზე, საკუთარ ენაზე გამოეშვათ ჟურნალ-გაზეთები.“ (აბაშიძე, 2011, გვ.63).

1.3 სომხები და ქართველები

„სომხური მოსახლეობის პირველი ფენა საქართველოში ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნის დამდეგს გაჩნდა, როდესაც სელევკიდური სირიის მეფის, ანტიოქ III-ის, სარდლებმა არტაქსემ და ზარიადრმა სომხური სახელმწიფოები შექმნეს და მეზობლად მდებარე ქართული მიწების ხარჯზე განავრცეს. ამის შემდეგ სომხურ-ქართული ურთიერთობა არ შემწყდარა და, ეპოქების შესაბამისად, სხვადასხვაგვარ ხასიათს ატარებდა.“ (კომახია, 2007).

საქართველოსა და სომხეთს შორის მუდმივად იყო ურთიერთობები უძველესი დროიდან მოყოლებული, რასაც უამრავი წყარო მოწმობს.“ ქვემო ქართლში, კერძოდ ცურტავში, მეხუთე საუკუნის 80-იანი წლებისთვის მაინც, როცა „შუშანიკის წამება დაიწერა, ღვთისმსახურება ქართულ და სომხურ ენებზე წარმოებდა, რაც ქრთულთან ერთად სომხურ მრევლსაც გულისხმობს.“ (აბაშიძე & დუნდუა, 2011, გვ.61).

სომხების საქართველოში დასახლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია, როდესაც დავით აღმაშენებელმა სომხები გორში დაასახლა. “ასევე მრავლად იყვნენ სომხური წარმოშობის პირები საქართველოს მეფეთა სამსახურშიც.“ (კომახია, 2007).

სომხების საქართველოში დასახლების რამდენიმე მიზეზი არსებობს მათ შორის ის, რომ ისინი თავს ვერ გრძნობდნენ მშვიდად საკუთარ სამშობლოში.

„1780 წელს ერევნიდან და 1787 წელს ყარაბაღიდან ერეკლემ 7000-ზე მეტი ადამიანი შემოიყვანა, თუმცა მათი ერთი ნაწილი მოგვიანებით განჯაში გადასახლდა. შემოდიოდნენ უფრო პატარა ჯგუფებიც, XVIII საუკუნის ბოლოს ირანელთა შემოსევებით შეწუხებული სომხების 50 ოჯახი ელიზავეტპოლიდან და შუშიდან სურამის „უბანში“ გადმოვიდა და სოფ. ვაკის საბატონო მიწაზე დასახლდა.“ (კომახია, 2007).

ვფიქრობ, ისტორიული მეხსიერება ის ძირითადი ფუნდამენტია, რაც უწყობს ხელს ერებს შორის უერთიერთობების გაძლიერებას, ამიტომ ამ საკითხის მოგვარებასა და გაღრმავებაში ჩართული უნდა იყოს პირველ რიგში სახელმწიფო და რაღა თქმა უნდა საზოგადოება, როგორც ქართველი ასევე სომეხი მოსახლეობა.

1.4 აზრბაიჯანელები და ქართველები

„საქართველოსა და დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის თუ ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ თურქულენოვან სამეფო - სახანო - საათაბაგოებს შორის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ყოველთვის არსებობდა, რაც არაიშვითად ნათესაურ კავშირებამდეც მიდიოდა“. (ქაზუმოვი & სორდია, 2019).

„ზოგიერთი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ თურქულენოვანი ტომები (ბუნთურქები, საბირები) კავკასიაში და კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩნდებიან.“ (ჯანიაშვილი, 2007).

ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ შეტანილი იყო ის ძირითადი უფლება-მოვალეობები, რაც გააჩნდა მაშინდელ ხალხს. „ვახტანგ მეფე ცდილობდა საკანონმდებლო საფუძველი შეექმნა ქართულ სამეფოში მათი ინტეგრირებისათვის.“ (ჯანიაშვილი, 2007).

როგორც ისტორიული წყაროებიდან ვიგებთ, პირველ ხანებში ჩამოსახლებულები მხოლოდ ირანის შაჰს ექვემდებარებოდნენ და არა ქართლის სამეფოს, მაგრამ მოგვიანებით ვითარება შეიცვალა და „თანდათანობით, ისინიც ქართულ ფეოდალურ სისტემაში შეერწყნენ.“ (ჯანიაშვილი, 2007).

ერთ-ერთი ინტერვიუს შედეგად ,რომელიც ჩავატარე აზერბაიჯანელ სტუდენტთან გამოიკვეთა ,რომ მისთვის უცხო არ არის ქართული კულტურა და ტრადიციები,ასევე არც ისტორია .მან საკმაოდ კარგად იცის და იცოდა ამის შესახებ მანამ სანამ ჩამოვიდოდა საქართველოში ,ასევე ინტერვიუსას მან ახსენა ,რომ საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს ქართველ სტუდენტებთან და მეგობრობს კიდეც მათთან . „ ბევრი ქართველი მეგობრები მყავს და თითქმის ყოველ დღე ერთად ვატარებთ დროს.“ *[ინტერვიუ: ეთნიკური უმცირესობების წარმოამდგენელი სტუდენტი].*

თავი II: ეთნიკური უმცირესობების ინსტიტუციონალური მხარე და არსებული ვითარება

2.1 ეთნიკური უმცირესობების მართვის ინსტიტუციური მდგომარეობის ფორმირების პროცესები

ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სწორი პოლიტიკის გატარებაზე, როდესაც ვიწყებთ ფიქრს პირველ რიგში, გვახსენდება ის მექანიზმები, რაც სახელმწიფოს ამ მხრივ გააჩნია, ეს არის გამართული და სწორად მოქმედი ინსტიტუტები, როგორც ღია საზოგადოების ფონდის 2019 წლის კვლევის მონაცემებში წერია კარგად ჩანს, თუ რა ფორმირება გაიარა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა მთავარმა ძალებმა. პირველი მნიშვნელოვანია ზუსტი ქრონოლოგიით მივყვეთ ამ სურათს და წარმოვადგინოთ ის. პირველი, სერიოზული მინისტრის აპარატი რომელიც შეიქმნა ეს იყო სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

"ახლადშექმნილ სამინისტროს დაევალა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, მის უფლებამოსილებებში ასევე შედიოდა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგება. თუმცა მიუხედავად ასეთი უფლებამოსილებისა, რაც უდავოდ იმედისმომცემი ნაბიჯი იყო მთავრობის მხრიდან ინტეგრაციის პრობლემატიკის მოგვარების თვალსაზრისით სახელმწიფო მინისტრის აპარატი ვერ იქცა ქმედით და ეფექტურ ორგანოდ." (ღია საზოგადოების ფონდი, 2019). ამიტომაც, აპარატმა ფუნციონირება დაასრულა 2007 წელს.

2008 წელს შეიქმნა ახალი სახელმწიფო მინისტრის აპარატი, კერძოდ, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სწორედ, რომ ამ სამინისტროს დამსახურებად ითვლება ის ფაქტი, რომ შიქმნა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი ეთნიკური უმცირესობების კუთხით, რამაც დიდი გავლენა იქონია პროცესების ზოგად ფორმირებასა და განვითარებაზე. 2009 წელს შექმნილი კონცეფცია წარმოადგენს ჩემი ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს რაზე

დაყრდნობითაც მოხდა შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა ეთნიკური უმცირესობების მხრივ. „კერძოდ 2009 წელს მთავრობამ მიიღო პირველი ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა უმცირესობათა მიმართ პოლიტიკას და განსაზღვრავდა სახელმწიფოს ინსტიტუციურ ჩარჩოს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მთავრობის დადგენილებას სახელწოდებით „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია.“ კონცეფცია მოიცავს ზოგად მიზნებსა და ამოცანებს, მათ შორის არის კანონის უზენაესობაის საკითხები ასევე განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება „მისი ძირითადი მიზანია დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მრავალფეროვნებას თავისი ძლიერებ ის წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით.“ (შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, 2009). კონცეფცია ასევე მოიცავს 5 წლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც შეიქმნა სხვადასხვა უწეყებების თანამშრომლობით.

2009 წლის კონცეფცია არის ფუნდამენტი შემდგომი განვითარების და სწორედ ამ დოკუმენტმა მისცა ბიძგი შემდგომი ეტაპების განვითარებასა და ჩამოყალიბებას. ექსპერტული ინტერვიუს მსვლელობისას მე დავინტერესდი იმით, თუ რამდენად ითვალისწინებს დღევანელი სამოქმედო გეგმა და ზოგადად სახელმწიფოს პოლიტიკურ დღის წესრიგში რამდენად დგას 2009 წლის კონცეფციის ძირითადი საკითხები, არსებულ ინფორმაცია მომაწოდა ერთ-ერთმა ექსპერტმა, სამინისტროს წარმომადგენელმა. „კონცეფციას მოქმედების ვადა 2014 წელს ამოეწურა; აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა მოამზადა ახალი დოკუმენტი. ახალი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებამდე სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფთან ერთად მოამზადა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი ”.(სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის,სახელმწიფო სტარტეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის

ანგარიში,2016) ეს ყველაფერი აღმოჩნდა საფუძველი ახალი და ეფექტური პოლიტიკის შექმნისა .

შემდგომი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა 2012 წელს, როდესაც შეიცვალა ხელისუფლება და სათავეში მოვიდნენ სხვა ძალები, შეიცვალა სამინისტროს სახელწოდება, თუმცა ის ძირითადი მოტივი, რაც გააჩნდა 2009 წლის კონცეფციას უცვლელი დარჩა. სამინისტროს აპარატმა, რომელიც 2012 წლის შემდგომ ცნობილია, როგორც „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის სახელით 2015 წელს შეიმუშავა ახალი 5 წლიანი სამოქმედო გეგმა და სტრატეგია. სამინისტროს ძირითადი მიზნები ემყარება პირვანდელ კონცეფციას და დღემდე სამოქმედო გეგმაც სწორედ მასზე დაყრდნობით ფუქნციონირებს.“ (ღია საზოგადოების ფონდი, 2019).

2.2 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული სტრატეგია და 5 წლიანი სამოქმედო გეგმა

ინტეგრაციის ხარისხის დასადგენად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვა. პირველ რიგში, დავიწყებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავებული სტრატეგიით, რომელიც დამტკიცდა 2015 წელს და წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს, რათა გავიგოთ, თუ როგორია სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხარისხის ზრდის კუთხით. გარდა სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის ანალიზისა, მე უშუალოდ შევხვდი ამავე სამინისტროს ერთ-ერთ წარმომადგენელს და ჩავატარე მასთან ექსპერტული ინტერვიუ .ექსპერტულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმა და სტრატეგია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტებია საიმისოდ, რათა გამოიკვეთოს, თუ რას მიიჩნევს სახელმწიფო პრიორიტეტად და როგორ პოლიტიკას ანხორხიელებს ის ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით. „იცით ,რომ არის სახელმწიფო სტრატეგია და ასევე სამოქმედო გეგმა, რომელიც 5 წლიანია და ეს დოკუმენტიც მოწმობს იმაზე, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი სახელმწიფოსთვის

პრიორიტეტულია.“ *[ინტერვიუ: სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2019].* ინტერვიუს მსვლელობისას სამინისტროს წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ სტრატეგიით განსაზღვრული ოთხი ძირითადი მიმართულება არსებობს და ერთ-ერთ მთავარ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ენის ცოდნის მნიშვნელობა. „ბუნებრივია აქ ძირითადი ამოსავალი წერტილია სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ინტერგრაციის პროცესში და ასევე ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა“, მან აღნიშნა ასევე ისიც, რომ ტოლერანტული გარემოს შექმნა და კულტურული თვითმყოფადობის ჩართულობა.“ *[ინტერვიუ: სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2019].*

ინტერვიუს მსველელობისას ,რომელიც ჩავატარე სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან ახსენა და გამოკვეთა ის ძირიდი მექანიზმები ვისი დახმარებითაც და ურთიერთანამშრომლობით შეიქმნა სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი სტრატეგია და რომლის ერთ-ერთი შემქნელი თავად არის და არსებული შეფასება გადმოცემულია თავისივე მომზადებულ ანგარიშში. “ სამოქალაქო ინტეგრაციის ახალ სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი იყო ღია და გამჭვირვალე, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ სფეროში მომუშავე ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური თანამონაწილეობის შესაძლებლობას ქმნიდა. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხილულ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან, პოლიტიკურ პარტიებთან და ექსპერტებთან.“ (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში,2016)

უპირველესყოვლისა აღსანიშნავია, რომ სტრატეგია შედგება შესავალი ნაწილისა და ოთხი ძირითადი თავისაგან. შესავალ ნაწილში საუბარია ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელობაზე და მათი დაცვის აუცილებლობაზე. „საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც კანონი თითოეულ ადამიანს თანაბარ უფლება-მოვალეობებს ანიჭებს და

იცავს მის იდენტობას.“ (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, 2015).

შესავალი ნაწილის შემდგომ წარმოდგენილი პირველი თავი ეთმობა ინტეგრაციის პოლიტიკას, სადაც ნათლად არის გამოკვეთილი არა მარტო ადგილობრივი გამოცდილება, რაც სახელმწიფოს გააჩნია, არამედ ისიც, თუ როგორია საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული პრაქტიკა, კერძოდ, კი საუბარია გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ ნორმებსა და რეგულაციებზე.

სტრატეგიაში საუბარია ასევე კულტურულ ფასეულოებბზე და ხაზგასმით არის ნახსენები ისიც, რომ კულტურული ფასეულობების დაცვა ეს არის სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასევე კულტურათაშორის ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას და ის მოიაზრებს, როგორც არაქართული მოსახლეობის კულტურული ფასეულობების პატივისცემასა და მასზე ზრუნვას, ასევე უფრო ტოლერანტული და მრავალფეროვანი გარემოს შექმნას, რაც გულისხმობს „ქართული კულტურის უკეთ გაცნობას, ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლების, განსაკუთრებით ახალგარზდების მიერ.“ (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, 2015).

გარდა სამინისტროს მიერ შემუშავებული სრატეგიებისა მნიშვნელოვანი დოკუმენტია სტრატეგიაზე თანდართული სამინისტროს 5 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავდა 2015 წელს და ის წარმოადგენს კიდევ ერთ საჭირო დოკუმენტს, რათა გავიგოთ, თუ რა პოლიტიკას ატარებს საქართველოს მთავრობა ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით და რამდენად ნათლად არის წარმოჩენილი მასში ინტეგრაციის ხარისხის ზრდის აუცილებლობა. ამას გარდა აღსანიშნავია ისიც, რომ 5 წლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში მზადდება ერთ წლიანი სამოქმედო გეგმაც. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ოთხ ძირითად სტარტეგიულ მიზანს. (სამოქმედო გეგმა, 2015).

2.3 2018 წელს განხორციელებული მთავრობის ანგარიში

ანგარიშის ერთ-ერთი თავი ეთმობა საკითხს „სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველყოფა.“ (2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, 2019). გამომდინარე იქედან, რომ სამოქალაქო ჩართულობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული არჩევნებში მონაწილეობასთან წარმოვადგენ ზოგად სურათს, თუ რა მომზადდა ამ მხრივ 2018 წელს.“ საქართველოს ცენტრალურმა კომისიამ განახორციელა შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

1. მომზადდა ,როგორც სომხურ ასევე აზერბაიჯანულ ენაზე სხვადასხვა დოკუმენტი საარჩევნოდ;

2. მომზადდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ტელევიზიების ეთერისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ 15 ვიდეო რგოლი;

3. საარჩევნო ადმინისტრაციამ და ცესკოსთან არსებულმა სწავლების ცენტრმა განახორციელა შემდეგი საინდორმაციო სასწავლო პროექტები: საარჩევნო განვითარების სკოლა, საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები, საარჩევნო სამართალი, “ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი.“ (2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, 2019).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი საკითხებისა, რაც მთავრობამ განახორციელა 2018 წლის ფარგლებში აღსანიშნავია საჯარო დაწესებულებებში არსებული სტაჟირების პროგრამა და ეხებათ იმ სტუდენტებს, რომლებმაც უკეთ იციან ქართული ენა და გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა.“ ვფიქრობ, პროგრამა, რომელიც „1+4“ სახელით არის ცნობილი ძალიან კარგი ნაბიჯია იმ სტუდენტთა მიმართ, რომლებიც წლებია ცხოვრობენ საქართველოში და კიდევ აპირებენ აქ დარჩენას. არსებული პროგრამა მართლაც ძალიან ეფექტური აღმოჩნდა და ამ პროგრამის წყალობით სტაჟირება გაიარა უამრავმა სტუდენტმა წამყვან დაწესებულებებში ,კერძოდ საჯარო სექტორებში. (2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, 2019). სტუდენტთა ჯგუფს შეადგენდა სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველი ახალგაზრდები.

გარდა „1+4“ სტაჟირების პროგრამისა, რასაც სახელმწიფო, კერძოდ კი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ანხორციელებს არის „საინფორმაციო ცნობიერების ამაღლების კამპანია“. მსგავსი ტიპის კამპანიას კი ყველაზე მეტად საჭიროებს ადგილები, რომელიც შედარებით კომპაქტურად არის დასახლებული და იმყოფებიან ინფორმაციის ვაკუუმში და მეტად დაბალია სამოქალაქო ჩართულობის რიცხვი, სწორედ ამიტომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობით გატარდა შემდგომი კამპანია ამ რეგიონებში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, კახეთში და პანკისის ხეობაში მიეწოდათ საჭირო და აუცილებელი ინფორმაციები, ჩატარდა 50-ზე მეტი შეხვედრა ამ რეგიონებში.“2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, 2019).

კულტურათაშორის დიალოგისა და მათი დაახლოების მიზნით სახელმწიფო აპარატმა ასევე განახორციალა შემდეგი ღონისძიებები: „დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილის აღნიშვნა“ , „ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი.“ (2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, 2019).

ამგვარად, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პროექტების ზოგადი სურათი ასეთია. 2018 წლის ანგარიშის ზოგადი მიმოხილვის მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ ქვეყანამ მნიშვნელოვანი ძვრები განახორციელა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხარისხის ზრდის გასაუმჯობესებლად.

2.4 ეთნიკური უმცირესობების ზოგადი ვითარება სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში

ა) სახელმწიფო ენა და განათლება

განათლება და სახელმწიფო ენა ერთ-ერთია მათ შორის, რასაც 2009 წელს მიღებული კონცეფცია და დღევანდელი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში მე ავირჩიე სამცხე ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონი, რომელიც ყველაზე კომპაქტურად დასახლებული რეგიონებია და ყველაზე მეტად სწორედ მსგავსი ტიპის დასახლებებში შეინიშნებოდა ყოველთვის ენობრივი პრობლემები და განათლემის მხრივ არსებული საკითხები. ენის ცოდნის პრობლემას მნიშვნელოვნად

მივიჩნევ, რადგან ეს ერთ-ერთი მთავარი ბარიერია, რაც იწვევს რიგ პრობლემების ინტეგრაციის განვითარების კუთხით და აფერხებს ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობას საზოგადოებრივ, თუ პოლიტიკურ საქმიანობებში. ენა ერთ-ერთია მათ შორის, რითაც შეიძლება ეთნოსებს შორის ჩამოყალიბდეს მჭიდრო და მეგობრული დამოკიდებულება. მე ვეცდები ექსპერტული ინტერვიუსა და ზოგადი ვითარების მიხედვით აღვწერო განათლებისა და ენის ცოდნის დონე სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.

2011 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც მოამზადა „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა„ გამოიკვეთა ქვემო ქართლში არსებული პრობლემების ზოგადი სურათი, ამ შემთხვევაში კი ენის მხრივ არსებულ ვითარება.“ კერძოდ, რეგიონის მოსახლეობის 56.7% ქართულს თვლის თავის მშობლიურ ენად, აზერბაიჯანული მშობლიური ენა მოსახლეობის 36.8%-თვის არის (რომლებიც ეთნიკური აზერბაიჯანელები არიან), ხოლო სომხური მშობლიური ენა მოსახლეობის 5.4%-თვისაა (რომლებიც ეთნიკურ სომხებს წარმოადგენენ)“ (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2011).

რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, სადაც ძირითადად განსახლებულია ეროვნებით სომეხი მოსახლეობა მსგავსად ქვემო ქართლისა არსებობს რიგი პრობლემები ენობრივ საკითხებთან დაკავშირებით. „ახალციხის სომხური მოსახლეობის ნაწილი ხედავს ქართული ენის ცოდნის აუცილებლობას და ცდილობს ენის შესწავლას. ახალქალაქისა და ნინოწმინდისაგან განსხვავებით, ახალციხის რაიონი „ქართულ-სომხურია“ (ქართველი 59.6%, სომეხი 36.6%), რაც ქართული ენის ცოდნის საჭიროებას უფრო აუცილებელს ხდის. უფროსი თაობა არ ფლობს ქართულ ენას „იმიტომ, რომ კომუნისტების დროს არ იყო ამის საჭიროება.“ (ლობჟანიძე, 2008).

გარდა ენობრივი საკითხებისა საჭიროა უშუალოდ მიმოვიხილო განათლების მდგომარეობა,რაც რა თქმა უნდა, ასევე უკავშირდება ენის ცოდნის ხარისხს.

ერთ-ერთი პროექტის მიხედვით, კერძოდ, “საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში, რომელიც განახორციელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროს მოადგილემ 2014 წელს წარადგინა

პრეზნეტაცია და ეხებოდა სამცხე-ჯავახეთში განხორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებს. “მუშავდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა. მხოლოდ სამცხე - ჯავახეთის რეგიონში საგნობრივი ტრენინგი 2013 წელს 825 მასწავლებელმა, ხოლო 2014 წელს 1057 მასწავლებელმა გაიარა. სულ სამცხე - ჯავახეთის რეგიონში სამცხე-ჯავახეთში - 512 მასწავლებელია.“ (სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განხორციელებული პროექტები, 2014).

განათლების მხრივ განხორციელებულ ცვლილებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რაც სამოქმედო გეგმის გაცნობისას აღვნიშნე არის „ 1+4“ სტაჟირების პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენისა და განათლების პრობლემების მოგვარების მხრივ. უშუალოდ არსებულ სტაჟირების პროგარამაზე მე შევხვდი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრის აპარატის ერთ-ერთ წარმომადგენელს და ჩავწერე მასთან ექსპერტული ინტერვიუ. პირველ რიგში, სანამ უშუალოდ გამოვიკითხავდი კონკრეტული სტაჟირების პროგრამის მნიშვნელობასა და მის ეფეტურობას, ვეცადე გამერკვია მნიშვნელოვანად ჩამორჩება, თუ არა ქართველი მოსახლეობის ცოდნის დონეს ეთნიკური უმცირესობების დონე, სადაც გამოიკვეთა, რომ პრობლემები არსებობს და განსხვავებაც არის. „აქ ვაწყდებით პრობლემებს სამწუხაროდ და იქედან გამომდინარე, რომ ეს პრობლემური საკითხი იყო ჩვენ როდესაც შევიმუშავეთ ახალი სტრატეგიული დოკუმენტი ეს გამოწვევა ამოვიდა და შესაბამისად განათლება განვსაზღვრეთ ერთ-ერთ მთავარ მიზნად.“ *[ინტერვიუ: სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2019].*

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მან ინტერვიუში ახსენა, რომ განათლების მხრივ დიდ პროგრესს მიაღწია სახელმწიფომ, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის პრობლემები სრულად მოგვარებული, პროგრამები, ღონისძიებები და პროექტები კიდევ საჭიროებენ დახვეწას და ამაზე სულ უნდა იფიქროს შესაბამისმა უწყებებმა, რათა მხოლოდ წინ წავიდეს სახლმწისო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების განათლების დონის მხრივ.“ *[ინტერვიუ: სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2019].*

რაც შეეხება „1+4“ სტაჟირების პროგრამის დანიშნულებას ეს არის პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაში და ასევე სტრატეგიაში. ამგვარად,

სახელმწიფო ამ სტაჟირების პროგრამის მეშვეობით კიდევ უფრო ცდილობს წინ წავიდეს, დაეხმაროს ეთნიკური უმცირესობების წარმოამდგენელ ახალგაზრდებს, რათა დასძლიონ ენის ბარიერი და შეძლონ მიიღონ კარგი განათლება საქართველოში, თანაც ისეთ გარემოში, სადაც თავს იგრძნობენ, როგორც სრულუფლებიანი მოქალაქეები, როგორც ზემოთ აღვნიშნე „1+4“ პროგრამა არის პროგრამა, რომელსაც კურირებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო აპარატი და ექპერტული ინტერვიც სწორედ ამ სამინისტროს წარმომადგენელთან ჩავწერე და ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაც იყო, რომ გამერკვია მასთან ინტერვიუს მსვლელობისას ეს არის სწორედ „1+4“ სტაჟირების პროგრამა, დავინტერესდი, თუ რამდენად ეფექტურია ის, როგორა განსხვავება წინა წლებთან შედარებით და მოიმატა თუ არა დაინტერესებამ 2010 წლის შემდგომ, როცა პირველად გაჟღერდა პროგრამის შესახებ.

„ვფიქრობ, რომ „1+4“ პროგრამის არსებობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ენის ბარიერის პრობლემის დარღვევას. ეს პროგრამა, როდესაც 2010 წელს დაიწყო გვყავდა 250 მდე სტუდენტი და წელს გვყავს 1230 სტუდენტზე მეტი, რაც მოწმობს იმას, რომ ერთი მხრივ მოთხოვნაც დიდია აქვს ამ პროგრამას და მეორე მხრივ საჭიროებს დახვეწას და ჩვენ ამაზე ვმუშაობთ.“ *[ინტერვიუ: სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2019].*

კიდევ ერთი ექსპერტული ინტერვიუ ჩავატარე ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს წარმომადგენელთან, ქალბატონ ანუკი ბურდულთან, რომელმაც მომაწოდა არა ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩემი კვლევის ფარგლებში და ერთ-ერთია სწორედ „1+4“ სტაჟირების პროგრამის შესახებ არსებული მდგომარეობა, თუ როგორ აფასებს ის ამ პროექტს. ზოგადად, რომ შევაფასოთ მისი ინტერვიუ მან საკმაოდ დადებითად ისაუბრა სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით და მომაწოდა მის ხელთარსებული ზუსტი მონაცემები. „ამ მიმართულებით გაუმჯობესების პროცესი ახლაც მიმდინარეობს. ეთნიკურად სომეხები, აზერბაიჯანელი და ქართველი ახალგაზრდებისაგან შემდგარმა ჯგუფმა გადამზადება გაიარეს „1+4“ სტაჟირების პროგრამების, უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული შესაძლებლობების შესახებ, 2018 წელს პროგრამაზე ჩაირიცხა 424 სომხურენოვანი სტუდენტი (დაფინანსდა 93), 806 აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი (დაფინანსდა 96) 1

ოსურენოვანი სტუდენტი (დაფინანსდა 1). ეს სტატისტიკა ბევრ რამეზე მეტყველებს.“ *[ინტერვიუ: ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს წარმომადგენელი, ანუკი ბურდული, 2019] .*

ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის კიდევ ერთი ექსპერტული ინტერვიუ, რომელიც ჩავატარე ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში ეს იყო იზაბელა ოსიპოვასთან, რომელიც მუშაობს სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს აღმასრულებელი მდივნის პოზიციაზე.არსებული ინტერვიუს ფარგლებში მან ახსენა ის, რომ სახელმწიფოს მხრიდან იდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები განათლების გაუმჯობესების მიზნით“, არ უნდა დავხუჭოთ თვალი და ვერ დავინახოთ ის პროგრამები, რომელიც ხორციელდება ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით და არის კიდეც ძალიან ბევრი წარმატებული პროგრამა, მათ შორის ქართული ენის შემსწავლელი პროგრამები, რომლებიც მუშაობენ რეგიონებში, ასევე ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლა, რომლებსაც რეგიონებშიც აქვს ცენტრები და შექმნილია მობილური ჯგუფები, რომელბიც გადიან სოფლებში და იქ ასწავლიან სახელმწიფო ენას.*“ [ინტერვიუ: სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, იზაბელა ოსიპოვა,2019].*

ამგვარად, იზაბელა ოსიპოვა თვლის, რომ განათლების მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება შეძლო სახელმწიფომ და ამის ნება სურვილი და შედეგების გაუმჯობესება ნამდვილად შეინიშნება წინა წლებთან შედარებით, სახელმწიფოს მხრიდან შეინიშნება ის, რომ ცდიან მრავალ გზას, რათა გარკვეულმა მიდგომებმა გაამართლოს, ცდილობენ, რომ სხვადასხვა პროგრამა მოსინჯონ, რათა გამოავლინონ საუკეთესო გზა და მეთოდი. ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა არა ერთი დადებითი მახასიათებელი, რასაც სახელმწიფო განათლებისა და ენის ცოდნის გაუმჯობესების მხრივ აკეთებს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვნად მანდ მიიჩნია და ხაზი გაუსვა „1+4“ პროგრამას, რომელსაც ანხორციელებს შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო აპარატი და რომელიც არა ერთ გზის გამოიკვეთა ასევე წინა ექსპერტების შემთხვევაშიც.“ ამ პროგრამის ნაწილობრივ გადაწყდა სხვა პრობლემაც, ახალგაზრდების გადინების საკითხიც, რადგან სანამ ეს პროგრამა ამოქმედდეობდა

ძალიან ბევრი ახალგაზრდა სასწავლებლად მიდიოდა სამცხე-ჯავახეთიდან ან სომხეთში, ან რუსეთში და ქვემო ქართლის მოსახლეობა სასწავლებად მიდიოდა ან აზერბაიჯანში ან თურქეთში ან რუსეთში, ამ პროგრამამ კი მოგვცა საშუალება, რომ ახალგაზრდები დარჩნენ ქვეყანაში და აქ გააგრძელონ სწავლა.“ *[ინტერვიუ: სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, იზაბელა ოსიპოვა,2019].* ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ის, რომ არსებულმა პროგრამებმა, რომელსაც სახელმწიფო ანხორცილებს ეთნიკური უმცირესობების მიმართ ბიძგი მისცა ახალგაზრდების გადინების პრობლემების აღმოფხვრას ნაწილობრივ მაინც, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს აღმასრულებელი მდივნის თქმით ეს ერთ-ერთი პრობლემაა, რომელიც გარკვეულწილად მოგვარდა სახელმწიფოს მიერ გატარებული ცვლილებების შედეგად.

ბ) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5 ნოემრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა რომლის მიხედვითაც, მოსახლეობის 86.8 პროცენტს შეადგენენ ქართველები, 6.3 პროცენტრს - აზერბაიჯანელები, ხოლო 4.5 პროცენტს სომეხი მოსახლეობა. (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016).

აზერბაიჯანელები საქართველოს ტერიტორიის მრავალ ადგილას არიან განთავსებული, თუმცა მათი უმრავლესობისა ცხოვრობს ქვემო ქართლში.“ქვემო ქართლის ფართობია 6.5 ათასი კვ. კმ, ქვეყნის ტერიტორიის 9.3 %. რეგიონი მოიცავს 347 დასახლებულ პუნქტს, 6 დაბა და 334 სოფელი.“ მოსახლეობის 44,7% ეთნიკურად ქართველია, 45,1% აზერბაიჯანელი 6.4 % სომეხი, ხოლო 3,8% - აფხაზი, რუსი, ოსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსთავსა და თეთრწყაროში უმეტესად ქართული მოსახლეობა ჭარბობს, წალჯაში სომხური და ბერძნული, ხოლო გარდაბანში, მარნეულში, დმანისსა და ბოლნისში აზერბაიჯანული მოსახლეობა.” (ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2014-2021 წლებისთვის, 2013).

2014-2020 წლის ქვემო ქართლის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, ქვემო ქართლის მოსახლეობა შეადგენს 511.2 ათას ადამიანს (ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების საბჭო, 2013, გვ.5), ხოლო იმავე წლის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის

განვითარების სტრატეგიის მიხედვით, „სამცხე-ჯავახეთის 2013 წლის იანვრის მდგომარეობით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 213.5 ათას ადამიანს შეადგენდა, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 5%-ზე ოდნავ ნაკლებია. ბოლო ათი წლის მაჩვენებლების მიხედვით შეინიშნება ზრდის ტენდენცია. რეგიონის მოსახლეობის 31% (66.5 ათასი ადამიანი) ქალაქებში ცხოვრობს, ხოლო 69% (147 ათასი ადამიანი) - სოფლებში. მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მეტი მაცხოვრებელი რეგისტრირებულია ახალქალაქისა (65 ათასი) და ახალციხის (48.4 ათასი) "(სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021).

ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების 2014-2020 წლების სტრატეგიით, თუ ვიმსჯელებთ, დაქირავებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 2011 წელს 547,5 ლარს შეადგენდა (ადგილობრივ კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან - 430 ლარი, უცხოელ/უცხოურ კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან - 978,6 ლარი, საჯარო სექტორში - 220 ლარი), რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 24 ლარით ნაკლებია. (ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2013).

რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რეგიონს და უმუშევრობის ხარისხს 2017 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ისევე, როგორც ქვემო ქართლის რეგიონში აქაც მაღალია უმუშევრობის დონის მაჩვენებელი და ეს რჩება მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად." ეკონომიკურად აქტიური ასაკის მოსახლეობის 6.7% (6026) უმუშევარია." (აბულაძე & ლოსაბერიძე, 2017).

„სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკის ყველაზე დიდი წვლილი 32% სოფლის მეურნეობას, ნადორობას და სატყეო მეურნეობას, თევზჭერასა და მეთევზეობას აქვს." (აბულაძე & ლოსაბერიძე, 2017, გვ.3), როგორც წყაროდან ჩანს, სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკური მაჩვენებელი დადებითად არის შეფასებული, თუმცა არასახარბიელოა „განვითარებადი ბიზნესის„ მაჩვნებელი, რომელიც ჩამორჩება ქვეყნის სხვა მსხვილ ქალაქებს.

ჩემს მიერ ჩატარებულმა ექსპერტულმა ინტერვიუმ აჩვენა, რომ ეთნიკურ-უმცირესობებში, კერძოდ კი ქვემო-ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მძიმე ფონი არსებობს დასაქმების თვალისაზრისით. ბელა ოსიპოვა, რომელიც მუშაობს სახალხო

დამცველის ოფისში აღნიშნავს, რომ დასაქმების პრობლემა ზოგადად ქვეყანაში საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს, თუმცა კიდევ უფრო მძიმე ფონი არსებობს ამ მხრივ ეთნიკურ უმცირესობებში. „ქვეყანაში ზოგადად არის პრობლემა სამუშაო ადგილების მხრივ და არა მარტო ეთნიკური უმცირესობების წარმოამდგენლებში, თუმცა მათ კიდევ უფრო უჭირთ დასაქმება. აქ მთავარ როლს თამაშობს ,როგორც ენის ბარიერი ასევე რეგიონების დასახლება, მეტი შესაძლებლობა არის თბილისში, რეგიონებში კი ნაკლებად. მიუხედავად ამისა მათი უმეტესობა ალბათ უფრო დასაქმებულია ბიზნეს სექტორში.“ *[ინტერვიუ: სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, იზაბელა ოსიპოვა, 2019].*

ღია ფონდის კვლევაში ნაჩვენებია კავკასიის ბარომეტრის 2017 წლის გამოკითხვის შედეგები, სადაც გამოვლინდა, რომ 2017 წლის გამოკითხულთა მონაცემებით მოსახლეობის წარმოდგენით ყველაზე დიდი პრობლემა ეს არის უმუშევრობის პრობლემა (76.6%), სიღარიბე (43.3%) არსებული მონაცემების მიხედვით, ჩანს, რომ უმუშევრობის პრობლემა არ წარმოადგენს მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების პრობლემას ეს ზოგადად ქვეყნის პრობლემაა, თუმცა უფრო მეტი პრობლემა, რა თქმა უნდა, არსებობს ეთნიკურ უმცირესოებებში.“ (ღია საზოგადოების ფონდი, 2019).

საბოლოოდ ,შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეს ორი რეგიონი, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი მნიშვნელოვანი ადგილებია ქვეყნისთვის და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ხელშეწობა ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად უნდ განიხილებოდეს, რადგანაც აქ ცხოვრობს ქვეყნის ის ძირითადი ნაწილი, რომლებიც წარმოადგენენ ეთნიკურ უმცირესობებს, კერძოდ, აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა.

გ) მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

მედიასთან კავშირი და ინფორმაციიაზე ხელმისაწვოდმობა ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნლოვანია ეთნიკურ უმცირესობაბთან დაკავშირებით, აუცილებელია ეთნიკური უმცირესობების წრამომადგენლებს გააჩნდეთ შეხედულებები ქვეყანაში არსებულ ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე, პირველ რიგში მედიის

საშუალებით იზრდება პოლიტიკური ცნობიერება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში, რაც იწვევს მათ ჩართულობას და ეს თავის თავში მოიაზრებს ასევე პოლიტიკურ ინტეგრაციას, რომელიც 2009 წლის კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია ინტეგრირებულობის ხარისხის ზრდისთვის.

ღია საზოგადოების ფონდის კვლევავ აჩვენა, რომ „მედიასაშუალებების მიმართ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ნდობა მაღალი არ არის .მათ მხოლოდ 28.3 % ენდობა (სრულიად ან ძირითადად) მასმედიას.“ (ღია საზოგადოების ფონდი, 2019).

ღია საზოგადოების ფონდის კვლევის მიხედვით ასევე დადგინდა ის პროცენტული რაოდენობა, თუ რა სიხშირით მოხიმარენ ეთნიკური უმცირესობები მედია-საშუალებებს, რამდენად ხშირად ეცნობიან ახალ ამბებს. „პრაქტიკულად ყოველი მეორე რესპოდენტი (49.7%) თითქმის ყოველდღე იღებს მსგავს ინფორმაციას, 17.1 %-კვირაში რამდენჯერმე, ხოლო 17.8% საერთოდ არ იღებს/არ ეცნობა სოციალურ და პოლიტიკურ სიახლეებს სომხების 21.4% ,აზერბაიჯანელების 13.7%.“ (ღია საზოგადოების ფონდი, 2019).

ღია ფონდის საზოგადოების კვლევამ ისიც აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი კავშირია ინფორმაციის მიღების სიხშირესა და ქართული ენის ცოდნას შორის. ეთნიკური უმცირესობების ის წარმოამდგენლები, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას ნაკლები სიხშირით ეცნობიან ქართულ სატელევიზიო გადაცემებს და ინფორმაციას იღებენ საკუთარ მშობლიურ ენაზე, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც კარგად ფლობენ ქართულ ენას ინფორმაციას ეცნობიან ქართული სატელევიზიო გადაცემებით და არიან ჩართული პოლიტიკურ, თუ ქვეყნის მნიშვნელოვანი სიახლეების მიღებაში. (ღია საზოგადოების ფონდი, 2019).

რაც შეეხება იმას, თუ რა სიხშირით იღებენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ინფორმაციას რუსეთში არსებული მოვლენების შესახებ „საერთო რესპონდენტთა 17.3% თითქმის ყოველდღ ეცნობა მსგავს ინფრომაციას, 17.4% კვირაში რამდენჯერმე, 12.5 % -კვირაში ერთხელ მაინც, ხოლო 35,6 % - საერთოდ არ ეცნობა, ან არ იღებს მსგავს ინფორმაციას. ეთნიკური ჯგუფების შიგნით იკვეთება, რომ სომხების

(25,6%) და ურბანული მცირე ეთნოსების წარმომადგენლების (25.1%) ყოველი მეოთხე წარმომადგენელი თითქმის ყოველდღიურად ეცნობა სიახლეებს რუსეთში მიმდინარე პროცესების შესახებ, მაშინ, როდესაც, სხვა ჯგუფებში კიდევ უფრო იშვიათად იღებენ ამ ქვეყნის შესახებ ინფორმაციას.“ (ღია საზოგადოების ფონდი, 2019).

ღია ფონდის მიერ ჩატარებული კველვის თანახმად ჩანს, რომ ქართული ენის ცოდნა ქმნის ერთ-ერთ მთავარ ბარიერს, რათა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა შეძლონ და გაეცნონ საქართველოში არსებულ მნიშვნელოვან სიახლეებს. კვლევის მიხედვით ასევე გამოიკვეთა ყველაზე პოპულარული ინფორმაციის წყაროები, საიდანაც ეთნიკური უმცირესობები ეცნობიან სიახლეებს. „ყველზე პოპულარული და ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული სატელევიზიო არხები (49.9%), არაფორმალირო წყაროები (19.2%) და ადგილობრივი სატელევიზიო არხები (10.2%).“ (ღია საზოგადოების ფონდი, 2019).

ზემოთ მოყვანილი კვლევის შედეგები მნიშვნელოვან და საჭიროა ინფორმაციას შეიცავს საიმისოდ, რომ გავიაზროთ, როგორი სტატისტიკაა და რამდენად არიან ჩართული და დაინტერესებული ეთნიკური უმცირესობები ქართული ტელეარხებითა თუ სხვა მედია საშუალებებით, რომლის მიხედვითაც მათ შეუძლიათ იყვნენ ინფორმაციისა და სიახლეების მთავარ ეპიცენტრში, საიადანაც მათ შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაიზარდონ ცნობიერება ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თუ სოციალურ მოვლენათა მიმართ.

2009 წლის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის მიხედვით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი ინტეგრაციის ხარისხის ზრდისთვის დასახელებულია მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გამომინარე აქედან, 2009 წელს სახელმწიფომ დაისახა მიზნად, რომ მედიასთან დაკავშირებული საკითხები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გამხდარიყო დღევანდელი მთავრობა, კერძოდ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო ითვალისიწნებს არსებულ პრინციპს, სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ის ერთ-ერთ მთავარ ამოსავალ პრინციპად არის მიჩნეული.

სახელმწიფო სტრატეგიაში ნათლად ჩანს, რომ მედიის როლს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ამას შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატი უწევს ხელმძღვანელობას, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა არის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მთავარი მიმართულება. ერთ-ერთ თავში „ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“ ,რომელიც წარმოდგენილია სტრატეგიაში იკვეთება მთავარი აზრი იმისა, რომ „სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის წარმატებული მიმდინარეობისთვის განსაკუთრებული როლი ენიჭება მედიას, როგორც ეთნიკურ უმცირესობათა თემატიკის გაშუქებისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით, ისე მედიაში სიძულვილის ენის გამოყენების დაუშვებლობის, ხოლო ასეთის შემთხვევაში, ფაქტებზე მკვეთრი რეაგირებით.“ (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, 2015).

გარდა ამ მთავარი მიზნებისა სტრატეგიაში ასევე წარმოდგენილია ის შუალედური მიზნები და ამ მიზნების მიღწევის ამოცანები:

- ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

- სამაუწყებლო პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების თემატიკის გაშუქებისა და უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;

- მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის ხელშეწყობა. (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, 2015).

მედიის როლსა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ვესაუბრე ერთ-ერთ ჩემს რესპონდენტს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს აპარატის წარმოამდგენელს, რომელმაც ნათლად აღნიშნა, რომ მედიის როლს დიდი მნიშვნელობა ეკისრებადა და განსაკუთრებით აღნიშნა საზოგადოებრივი მაუწყებელი,რომ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ეთმობა მთავარი ადგილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით. კონკრეტულმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინფორმაციის ზრდის მხრივ მუშაობს როგორც

„ტელემაუწყებლობა“ ასევე „რადიომაუწყებლობა“ და „ბეჭდვითი მედია.“ *[ინტერვიუ: სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2019].*

იმის დასადგენად,თუ რამდენად უყურებენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ქართულ ტელეარხებს აქვთ თუ არა წვდომა ქართულ მედია-საშუალებებთან, გამოვიკითხე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები. ერთ-ერთმა მათგანმა ინტეგრაციის ხარისხის ზრდის მთავარ კომპონენტად დაასახელა ქართული ტელეარხები, რადგან ამით ინფორმირებულიბის ხარისხიც მკვეთრად იზრდება „ყოველ საღამოს თვალს ვადევნებ ქართულ არხებს თბილისში რომ ვარ ტელევიზორით ნინოწმინდაში, რომ ჩამოვდივარ ინტენრეტით.“ *[ინტერვიუ: ეთნიკური უმცირესობების წარმოამდგენელი სტუდენტი, 2019].*

ამგვარად, წარმოდგენილ თავში შევეცადე გადმომეცა ის ძირითადი მდგომარეობა, რაც არსებობს ეთნიკური უმცირესობების მიმართ. კერძოდ, მნიშვნელოვნად ჩავთვალე განათლების მდგომარეობა, ენის ცოდნის დონე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და შევეცადე ამეხსნა ამ კუთხით არსებული ვითარება, რომლითაც გამოიკვეთა ინტეგრაციის ხარისხი. ანალიზის შედეგად კი გამოიკვეთა, რომ ვითარება ბევრად გაუმჯობესებულია წინა წლებთან შედარებით და კიდევ მიიწევს წინ, ამაზე მეტყველებს, როგორც ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუები ასევე ეთნიკური უმცირესობების გამოკითხვა.

თავი III: ეთნიკური უმცირესობების დასავლური გამოცდილება

აღნიშნულ თავში მე განვიხილავ ზოგადად ცნება „ეთნიკურის“ მნიშვნელობას, თუ რას ნიშნავს ის, რამდენად განსხვავებულია მისი აღქმა და გაგება. ასევე მნიშვნელოვნად მივიჩნიე წარმომედგინა ეთნიკური უმცირესობების გამოცდილება კონკრეტულ ქვეყნებში, როგორ აღიქვამენ სხვადასხვა ქევყანაში და როგორია დამოკიდებულებები მათ მიმართ.

3.1 ეთნიკური უმცირესოების ცნების მნიშვნელობა

ცნება ეთნიკური უმცირესობების მრავალი განსაზღვრება არსებობს და მას ისტორიული ფუნდამენტი გააჩნია, თუმცა პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ ტერმინ „ეთნიკურის“ გამოყენება პრობლემური საკითხია და მისი განსაზღვრება დღესაც ბევრ დავას იწვევს.

ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ თვითონ ცნება „ეთნიკური“ არ არის მარტივად გამოსარკვევი, კიმლიჩკა თავის ნაშრომში ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს ისტორიაში ყალიბდებიან ბევრად უფრო ფართო კულტურული მასები, ეს მოიაზრებს საერთო მოქცევის წესებს, ფასულოებებს, რაც მისი აზრით გადამწყვეტია და საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ მისთვის მისაღაბია ტერმინ „კულტურულის“ გამოყენება, ნაცვლად „ეთნიკურისა.“ (Larsen, 2016).

ცნება „ეთნიკურთან“ დავაში მოდის კიდევ ერთი ტერმინი „ეროვნული“, ხშირია შემთხვევები, როდესაც იყენებენ „ეროვნულს“ და არა „ეთნიკურს.“ „ისტორიულად ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების პრობლემა მე19-20საუკუნეების ნაციონალიზმის დამატებითი პროდუქტია .გამალებული ჰომოგენიცაზიის და ფრანგული ასიმილაციის შედეგად ვერ მოხერხდა კონკრეტულ საზოგადოებაში კულტურული განსხვავებულობის მოსპობა და საზოგადოებები კვლავაც ჰეტეროგენულნი დარჩნენ.“ (აბაშიძე, 2011).

3.2 ეთნიკური უმცირესოების ინტეგრაციის საკითხები პრაქტიკაში

ეთნიკური პრობლემები ნებისმიერი ეპოქის საზოგადოებისთვის საკმაოდ ნაცნობი ფაქტია. დღეს, თანამედროვე საზოგადოებაშიც კი, როდესაც თავისუფალი ხალხი თანმხდება მშვიდობიან და ლიბერალური იდეეების მქონე წესრიგის დამკვიდრებაზე, მაინც ვერ მოხერხდა იმ პრობლემების აღმოფხვრა და მოგვარება, რასაც ეთნიკური უმცირესობები თითქმის ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან. ხშირია შემთხვევები, როცა განსხვავებული ეთნოსის, წარმომავლობის, კულტურული მეხსიეერების ხალხს უჭირთ თანაარსებობა და ერთმანეთთან ინტეგრაცია ამ თემაზე უამრავი თქმულა და დაწერილა, მაგრამ პრობლემა, რომელიც არსებობს მრავალგვარია და ძირითადად გამომდინარეობს, როგორც წარსული, ისტორიული ფესვებიდან ასევე „მზარდი ემიგრაციიდან.“ (აბაშიძე, 2011, გვ.24).

განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის ვითარება ეთნიკური უმცირესობების მხრივ და შევეცდები განვიხილო სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება.

კანადის მოდელი: კანადის მაგალითი ერთ-ერთია მათ შორის, რომელსაც განვიხილავ ჩემს ნაშრომში. კანადა წარმოადგენს საკმაოდ მრავალფეროვანი ეთნოსების მქონე დასახლებას. 2011 წლის ეროვნული საყოველთაო კვლევევის მონაცემებით კანადა არის ეთნოკულტურული მოზაიკის მქონე ერი, დაფიქსირდა 200-ზე მეტი ეთნიკური წარმომავლობა, 2011 წელს 13 ეთნიკური წარმომავლობა 1 მილიონს აღემატებოდა. (Immigration and Ethnocultural Diversity in Canada, 2018). კანადაში მულტიკულტურალიზმი გულისხმობს სხვადასხვა რასობრივი და ეთნიკური უმცირესობების არსებობას, კანადაში პირველი პროვინცია იყო საშა ჩხუანი, სადაც მიიღეს პირველი კანონმდებლობა მულტიკულტურალიზმის შესახებ, რომელიც პირველად შეიქმნა 1974 წელს და შესწორება მოხდა 1983 წელს, ეს აქტი განსაზღვრავს მულტიკულტურალიზმს, როგორც სხვადასხვა ეთნოსის უფლებას, შეინარჩუნონ განსხვავებული კულტურა და გაუზიარონ ასევე სხვებსაც. კანადაში ყველა პროვინციამ და მათ შორის რამდენიმე მუნიციპალურმა მთავრობამ მიიღო მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა. დღეისათვის ათი პროვინციიდან ექვსი მულტიკულტურალურ კანონმდებლობაში ამოქმედდა.

ონტარიოს დასახლებაში არსებობს მულტიკულტურული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ყველა ინტარიოტის სრულ ჩართულობას საზოგადეობრივ ცხოვრებასა და საქმიანობაში. ასევე 1987 წელს ონტარიოს მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის შემდეგი პრინციპები: „ვალდებულება, უზრუნველყოს, რომ ყველა კულტურისა და გზის ადამიანები თანაბარი ხელმისაწვდომობით და მონაწილეობენ როგორც პასუხისმგებელი მოქალაქეები.“ (Canadian multiculturalism, 1999).

კიდევ ერთი პროვინცია, რომელმაც მიიპყრო ჩემი ყურადღება ეს რის კვებეკის ფრანგულენოვანი დასახლება, სადაც ნაკლებად არის კარგი ვითარება იმ მხრივ, რომ ძირითადად ყურადღება არის გადატანილი, რომ ეს არის ფრანგულენოვანი დასახლება და ყველა ოფიციალური საქმის წარმოება მიმდინარეობს ფრანგულ ენაზე. (Canadian multiculturalism, 1999).

„სამსახურში, თუ 50 კაცზე მეტი მუშაობდა, მაშინ სამუშაო ენა ფრანგული უნდა ყოფილიყო. კვებეკელ მოქალაქეებს მხოლოდ ფრანგულად მოუწევდათ განათლების მიღება, იმის მიუხედავად ისინი მოცემულ მომენტში ცხოვრობედნენ, თუ არა კვებეკის ტერიტორიაზე. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო უარს ამბობდა განათლების პროგრამის უზრუნველყოფაზე.“ (აბაშიძე, 2011, გვ.32).

აშშს მოდელი: ამერიკის მოდელი ასევე ერთ-ერთია მათ შორის, რომლის განხილვაც ვფირობ სიანტერესოა ეთნიკური უმცირესობების მხრივ. „ამერიკული ეთნიკური ლანდშაფტი მოიცავს სწრაფად მზარდ ებრაულ მოსახლეობას და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, ოთხი უმცირესობათა ჯგუფი ჰონოლულუში, ლოს-ანჯელესში, მაიამიში, სან-ანტონიოსა და რამდენიმე სხვა მეტროპოლიის რაიონში ცხოვრობს.“ (Pollard, 1999).

ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთია მსოფლიოში, სადაც უამრავი ეთნოსისა და განსხვავებული კულტურული წარმომავლობის ხალხი ცხოვრობს .მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა გამორჩეული იყო ეთნოკულტურული მრავალფეროვნებით არსებობს იმის პრეცედენტი, რომ ამერიკა კარგად არ იცნობს თავიანთი ქვეყნის კულუტურულ ჯგუფებს, თანაც ადრე დამკვიდრებული ტერმინი,

რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატები ცნობილია, როგორც „სადნობი ქვაბი„ შეიცვალა სხვა ტერმინით „სასალათე თასი.“ (Nittle, 2018). „სასალათე თასში ხომ სადნობი ქვაბისაგან განსხვავებით, მისი ინგრედიენტები და კომპონენტები უკეთ მოსჩანან და მკაფიოდ გამოხატავენ იდეას: ერთიანობა მრავალფეროვნებაში.“ (აბაშიძე, 2011, გვ.34).

შვეიცარიის მოდელი: შვეიცარია ევროპაში ერთ-ერთი მრავალენოვანი ქვეყანაა, სადაც არ შეინიშნება სირთულეები პოლიტიკური, ენობრივი უმცირესობების კუთხით, თუმცა ისტორიულად ის ნამდვილად არ იქნება მართალი, თუ ვიტყვით, რომ ეთნოკონფლიქტი არასდროს ყოფილა და ამ მხრივ ყოველთვის არსებობდა წესრიგი ქვეყანაში, თუმცა ბოლო 150 წლის მანძილზე შვეიცარიამ წარმატებით მოახერხა განევითარებინა მულტიკულტრურალიზმი და ის დაფუძნებულია ორ ძირითად მოტივზე „შვეიცარიამ უარი თქვა კულტურულად ერთგვაროვანი ერის სახელმწიფოს შექმნაზე, ამის ნაცვლად მისი თანამედროვე არსებობის დასაწყისიდან ჩამოყალიბდა მულტიკულტურული ერი. მეორე, შვეიცარიამ შეძლო შეექმნა დემოკრატიის სახე,რომელიც ხელს უწყობს პოლიტრიკური ძალაუფლების გაზიარებას სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის. ამან გამოიწვია სოციალური და პოლიტიკური ინტეგრაცია, მშვიდობა, კონფლიქტის მოგვარება მოლაპარაკებების გზით.“ (Linder & Steffen, 2006).

გერმანიის მოდელი: გერმანიაში ცხოვრობს ოთხი დამოუკიდებელი ეროვნული უმცირესობა „დანები, ფრიდრიხ ებერტის ეთნიკური ჯგუფი, გერმანელი სანტი და რომა, ისევე როგორც მუსლიმანური ხალხი.“ (National minorities and language groups in Germany, 2018). გერმანიის ფედერალური მთავრობა მაქსიმალურად უჭერს მხარს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს და ასევე მათი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. გერმანიაში ასევე არსებობს ე.წ. „უმცირესობათა ოფიცერი“, რომელსაც ევალება ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის ცოდნა ფედერალურ დონეზე და იძლევა ინფორმაციას ეთნიკური უმცირესობების შესახებ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (National minorities and language groups in Germany, 2018).

არსებული დოკუმენტებისა და სტატიების საფუძველზე, რასაც გავეცანი ვფიქრობ, რომ გერმანიაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხს და ასევე მათი უფლებების დაცვასა და უზრუნველყოფას, ერთ-ერთ ასეთ მაგალითად შემიძლია დავასახელო ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია, რომელიც 1998 წელს გერმანიაში ძალაში შევიდა, „კრძალავს ეროვნულ უმცირესობათა წევრებისა და მათი ნების საწინააღმდეგოდ გამოწვეულ დისკრიმინაციას. გარდა ამისა, იგი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, დაიცვან თავისუფლების უფლებები და უზრუნველყონ ფართო მხარდაჭერის ზომები ეროვნული უმცირესობების სასარგებლოდ.” (Legal bases of the minority policy, 2013).

დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეთნიკური უმცირესობების მხრივ არსებული ვითარება მკვეთრად უმჯობესდება და ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის საქმიანობებში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო, რაც უფრო მეტად ცდილობს 2009 წლის კონცეფციის იდეების გათვალისწინებას პოლიტიკურ დღის წესრიგში მით უფრო მაღალია ინტეგრაციის ხარისხი. ამგვარი დასკვნის საფუძველს კი იძლევა ჩემს მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევის ანალიზი, რომელიც გამოვიკვლიე პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზის შედეგად, კერძოდ კი გავაანალიზე ამ საკითხის ირგვლივ არსებული სახელმწიფო დოკუმენტები და ასევე ჩატარებული კვლევები, რამაც მომცა საშუალება იმისა, რომ საკითხი შემესწავლა უკეთ და გამეკეთებინა კონკრეტული დასკვნა არსებული საკითხიდან. ამასთანავე საკითხის უკეთ გაანალიზებაში დამეხმარა ექსპერული ინტერვიუები და ასევე ინტერვიუბი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენეტებთან, რომლის მეშვეობითაც უფრო ღრმად შევისწავლე რეალური ვითარება. ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სახელმწიფო ითვალისწინებს კონცეფციის ძირითად პრინციპებს და მიისწრაფვის ტოლერანტული საზოგადოების დამკვიდრებისაკენ.

ინტერვიუების საფუძველზე კარგად გავერკვიე, თუ რა ვითარება არსებობს ქვეყანაში, ენის დონის, საზოგადოებრივი ჩართულობის, ქართული მედია - საშუალებებისადმი ინტერესის და ზოგადად ინტეგრირებულობის მხრივ.ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვეთა ის ,რომ მათ საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ქართველ სტუდენტებთან და დიდ დროსაც ატარებენ მათთან ერთად ,ასევე ქართველი ლექტორებისაგან არ გრძნობენ არანაირ განსხვავებულ დამოკიდებულებას . მართალია, ბევრი პრობლემა დღესაც არსებობს და ეს განსაკურებით ეხება სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, კერძოდ უმუშევრობის პრობლემას ძირითადად კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო-ქართლში, თუმცა მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება და ქვეყანა წინ მიდის

რათა შეიქმნას უკეთესი, ტოლერანტული გარემო, სადაც ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ მოსახლეობას ექნება უკეთ რეალიზების საშუალება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ინტერვიუს მსვლელობისას ყველაზე დადებითი შეფასება გამოვლინდა განათლებისა და ენის ცოდნის მხრივ, რომელიც განაპირობა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შექმნილმა სტაჟირების პროგრამამ, შეწყდა ქვეყნიდან ახალგაზრდა სტუდენტთა გადინება და მათ მიეცათ საშუალება სტაჟირება გაიარონ საჯარო დაწესებულებებში და მიაღწიონ პროფესიულ ზრდას.

კვლევის ლიმიტი: წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში ვერ შევძელი გამომეკითხა საქართველოს მოქალაქეები, რომ გამეგო ქართული საზოგადოების განწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ, ვფიქრობ ასევე კარგი იქნებოდა ბევრად მეტი ეთნიკური უმცირესობების სტუდენტთა გამოკითხვა, მაგრამ დროის სიმცირისა და სხვა რესურსების არქონის გამო ვერ განხორციელდა .აღნიშნული ფაქტორების გამო კვლევა არ გამოირჩევა რეპრეზენტაციის მაღალი ხარისით ,არსებული შეზღუდვების გამო კვლევის შედეგებს ვერ განვავრცობთ მასაზე ,ქვეყნის მასშტაბით .

გამოყენებული ლიტერატურა:

Immigration and Ethnocultural Diversity in Canada. (2018). Retrieved July 3, 2019, from https://www12.statcan.gc.ca/nhs-enm/2011/as-sa/99-010-x/99-010-x2011001-eng.cfm#a3

Kempin, T. (2017). *Ethnic conflict*. The Editors of Encyclopaedia Britannica. (vol. 3). Retrieved May 2, 2019, from https://www.britannica.com/topic/ethnic-conflict

Leman, M. (1999). *Canadian multiculturalism.* Retrieved July 1, 2019, from http://publications.gc.ca/collections/Collection-R/LoPBdP/CIR/936-e.htm

Linder, W. & Steffen, I. (2006). *Ethnic Structure, Inequality and Governance in the Public Sector in Switzerland,* Retrieved June 27, 2019, from https://www.files.ethz.ch/isn/46369/22.pdf

National minorities and language groups in Germany. (2018). Retrieved June 30, 2019, from https://www.aussiedlerbeauftragter.de/AUSB/DE/Themen/nationale-minderheiten/nationale-minderheiten_node.html;jsessionid=BBF0A4E6D9614BDA0DA80E1493D6D34B.1_cid364

National minorites and language groups in Germany. *Legal bases of the minority policy.* (2013). Retrieved June 30, 2019, from https://www.aussiedlerbeauftragter.de/AUSB/DE/Themen/nationale-minderheiten/rechtsgrundlagen-minderheitenpolitik/rechtsgrundlagen-minderheitenpolitik_node.html

Sanchez, M. (2009). *Liberal Multiculturalism and the Problems of Differnce in the Canadian Experience.* (Cide). Retrieved May 10, 2019, from http://www.libreriacide.com/librospdf/DTH-59.pdf

აბაშიძე, ზ. (2011). *ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი საქართველოში.* (გვ.63), მოძიებულია 3 ივნისი, 2019, http://old.press.tsu.ge/GEO/internet/disertaciebi/zviad%20abashidze%20geo.pdf

დუნდუა, ს., & აბაშიძე, ზ. (2009). *ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში,* (გვ.11,32,61) გამომცემლობა ინტელექტი , მოძიებულია 2 ივნისი, 2019;

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა. (2019). *ღია საზოგადოების ფონდი,* მოძიებულია 7 ივნისი, 2019, https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/?fbclid=IwAR0cT6GkVyqHEhEhi3xZOnEU05oGxiHu2gZDTSeZmGAracw6kluNTqjVsjM

ზურაბიშვილი, დ. (2003). *ერთი საზოგადოება, მრავალი ეთნოსი (ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში)*, მოძიებულია 1 ივნისი, 2019, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&cl=CL1.31&d=HASH02651e99259fecc3f6b80a.2.2&gt=1

კომახია, მ. (2007). *ეთნოსები საქართველოში,* მოძიებულია 3 ივნისი, 2019, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL1.32&d=HASH01539272c0a61b8f8dfb8ff9.7

ლობჟანიძე, მ. (2008). *სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემები სამცხე-ჯავახეთში,* მოძიებულია 12 ივნისი, 2019, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-

about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL3.1.8&d=HASH6528986a52a8ba92a48eff.15.3

მაცაბერიძე, მ. (2011). *ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი;* (გვ.19) *საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება,* მოძიებლია 25 ივნისი, 2019, http://www.parliament.ge/uploads/other/56/56543.pdf

მაცაბერიძე, მ. (2018). *ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში,*(გვ.10) მოძიებულია 25 ივნისი, 2019 http://www.politscience.info/filemanager/files/magistratura/xelisuleba%20da%20politikuriprocesi/saqarTvelosdemokresp.pdf

მჭედლიშვილი, დ. (2008). ენციკლოპედიური ლექსიკონი, მოძიებულია 1 ივნისი, 2019, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1057

ნოდია, გ. (2003). *საქართველოს პოლიეთნიკურობა: ფაქტი, მასთან მიმართება და მოსაზრებები პოლიტიკური სტრატეგიისათვის*, მოძიებულია 1 ივნისი, 2019, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.31&d=HASH02651e99259fecc3f6b80a.3.1&gc=1

პაპუაშვილ, გ. (2013) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, თავი4,მუხლი 52. მოძიებულია 25 ივნისი, 2019 https://www.constcourt.ge/ge/publications/books/1921-wlis-saqartvelos-demokratiuli-respublikis-konstitucia.page

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია. (2015). *საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740.,* მოძიებულია 8 ივნისი, 2019,

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტები. (2014), მოძიებულია 11 ივნისი, 2019, https://www.mes.gov.ge/content.php?id=5474&lang=geo

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ,სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში,2016 , მოძიებულია 10 ივლისი, 2019 , smr.gov.ge/Uploads/Report_fin_7ab37550.docx

სამცხე ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021. (2013), მოძიებულია 13, ივნისი, 2019, http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/samcxe-javaxetis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis_0.pdf

სართანია, ქ. (2017). *სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი.* (გვ.19). ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) მოძიებულია მაისი 29, 2019, https://tdi.ge/sites/default/files/tdi-research-cover-geo-web.pdf?fbclid=IwAR0OsZ3IhfxkSNKmW8IIK0TYGR7tT7Smi9Zwqfby0zrDjJr6fi18GmJHlSU

სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2016), მოძიებულია 13 ივნისი, 2019, http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

სტეპანიანი, ა., & ხალილოვი, ზ. (2003). *ერთი საზოგადოება მრავალი ეთნოსი (ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა ქართულ საზოგადოებაში),* მოძიებულია 1 ივნისი, 2019, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.31&d=HASH02651e99259fecc3f6b80a.3.2

ქაზუმოვი, ო., & სორდია, გ. (2019). *რა უნდა ვიცოდეთ თანამოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელების შესახებ.* ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, მოძიებულია 7 ივნისი, 2019, https://tdi.ge/ge/page/ra-unda-vicodet-tanamokalake-etnikuri-azerbaijanelebis-shesaxeb

ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა. (2011). *სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი.*

(გვ. 33), მოძიებულია 9 ივნისი, 2019, http://issa-georgia.com/files/publications/%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/Report-GEO-004.pnf_3.pdf

ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2013), მოძიებულია 13, ივნისი, 2019, http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/kvemo_kartlis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis_0.pdf

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია. (2009). (გვ.4), მოძიებულია 8 ივნისი, 2019, http://www.tolerantoba.ge/failebi/nacional_concept_geo_doc173_18965.pdf

ჯანიაშვილი, ლ. (2007). *ეთნოსები საქართველოში,* მოძიებულია 5 ივნისი, 2019, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL1.32&d=HASH01539272c0a61b8f8dfb8ff9.8

2015–2020 წწ. სამოქმედო გეგმა. (2015). *საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740.,* მოძიებულია 8 ივნისი, 2019, http://smr.gov.ge/Uploads/20152020__b9886b45.pdf?fbclid=IwAR0u16BEeFefTfOAGlMAG_C_A-zLfX2p2MZwD3I7y-mqIAB8xsPxaTo6AGM

2018 წელს განხორციელებული მთავრობის ანგარიში. (2019). *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი,* მოძიებულია 9 ივნისი, 2019,

http://smr.gov.ge/Uploads/Report_201_81155c2d.pdf?fbclid=IwAR0xImLynpiNnP9AEtwjRcdTWRDZD5EUHdOEV0o8jyzSH6bo9bfrW8Ab9Fk#page=30&zoom=100,0,421

ექსპერტული ინტერვიუ: სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან;

ექსპერტული ინტერვიუ: სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი მდივანი;

ექსპერტული ინტერვიუ: ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს წარმომადგენელი;

ინტერვიუ: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სომეხ სტუდენტთან;

ინტერვიუ: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აზერბაიჯანელ სტუდენტთან;

ინტერვიუ: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აზერბაიჯანელ სტუდენტთან;

ინტერვიუ: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აზერბაიჯანელ სტუდენტთან.

დანართი:

დანართი # 1

სადისკუსიო გეგმა	
1	თქვენი სახელი, გვარი, ასაკი და პროფესია
2	რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს სახელმწიფო ეთნიკურ უმცირესობებთან არსებულ საკითხებსა და პრობლემებს?
3	რამდენად ითვალისწინებს სახელმწიფო თავის პოლიტიკურ დღის წესრიგში 2009 წელს მიღებული შემწყნარებლობის კონცეფციის მთავარ პრინციპებს?
4	რაში ვლინდება სახელმწიფოს როლი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მხრივ?
5	როგორია ენის ცოდნის დონე აზერბაიჯანელ და სომხურ მოსახლეობაში?
6	აფერხებს, თუ არა ენის არცოდნა მათ ინტეგრაციას სხვადასხვა სფეროებში?
7	ყველაზე მეტად რომელ რეგიონს გამოყოფდით ენობრივი პრობლემის თვალსაზრისით?
8	მნიშვნელოვნად ჩამორჩება, თუ არა მათი განათლების ხარისხი ქართველი მოსახლეობის ცოდნის დონეს?

9	რას აკეთებს სახლმწიფო იმისათვის, რათა გააუმჯობესოს განათლების დონე ეთნიკურ უმცირესობებში?
10	„1+4“ პროგრამის ფარგლებში მოხდა, თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილებები ენის ცოდნისა და განათლების გაუმჯობესების მხრივ?
11	ყველაზე მეტად სად არის ეთნიკური უმცირესობების დასაქმების არეალი?
12	თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია, თუ არა, რომ ეთნიკურ უმცირესობებს გააჩნდეთ საჭირო ცოდნა საქართველოს ისტორიის, წეს-ჩვეულებებისა და კულტურის შესახებ?
13	რა როლი აქვს სახელმწიფოს კულტურული დიალოგის შექმნაში ერებს შორის? რა ღონისძიებები სრულდება ამ მხრივ?
14	რა კეთდება მედიასთან კავშირისა და ინფორმაციულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად ეთნიკურ უმცირესობებში?
15	მიგაჩნიათ, თუ არა რომ მედია საშუალებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ მხრივ, რათა ეთნ უმცირესობები მეტად ჩაერთონ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებში?
16	რა არის ის ძირითადი პერსპექტივები, რასაც სახელმწიფო გეგმავს და ელოდება ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ?

დანართი #2

კითხვარი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის	
1	სახელი, გვარი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, განათლება
2	რომელი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ხართ?
3	რამდენი ხანია რაც საქართველოში იმყოფებით?
4	რა არის ის ძირითადი პრობლემები, რასაც აწყდებით ყოველდღიურად?

5	რა არ მოგწონთ?
6	მეგობრობთ, თუ არა ქართველ სტუდენტებთან და ატარებთ, თუ არა დიდ დროს მათთან ერთად?
7	მიგაჩნიათ, თუ არა რომ ინტეგრირებული ხართ საზოგადოებაში და არ გაქვთ გაუცხოების პრობლემა?
8	რამდენად ხართ ინტეგრირებული? შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით
9	რატომ თვლით ასე?
10	რა მიგაჩნიათ მთავარ ბარიერად ინტერგირერებულობის მხრივ?
11	გრძნობთ, თუ არა რომ ქართველი ლექტორები თქვენს მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენენ და ან თუ შეგქმნიათ პრობლემები ქართველ ლექტორებთან?
12	გსმენიათ თუ არა სტაჟირების პროგრამის შესახებ?
13	რას ფიქრობთ მსგავსი პროგრამების შესახებ, არის თუ არა ეფექტური?
14	თქვენ რა მიგაჩნიათ მთავარ ამოცანად, რათა გაიზარდოს ინტეგრაციის ხარისხი?
15	სამსახურის ძიებისას შეგქმნიათ, თუ არა პრობლემები?
16	ყველაზე მთავარ პრობლემად რას დაასახელებდით?
17	თუ გსმენიათ „1+4“ პროგრამის შესახებ?
18	რამდენად ხშირად უყურებთ ქართულ ტელევიზიას?
19	ინტერესდებით, თუ არა საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებით?
20	დადიხართ არჩევნებზე?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Mariam Laghadze

The issue of integration of ethnic minorities in Georgia: Challenges and Threats Analysis

Master's Program in Political Sciences

The Thesis is done to obtain Master's Academic Degree in Political Sciences

Supervisor:

Doctor of Political Sciences, Giorgi Melikidze

Tbilisi

2019